

ISSN 1987-6890

ეკონომისტი

EKONOMISTI

საქართველოს სამუშაო-საკონფერენციო ჟურნალი  
*International Scientific-Analytical Journal*

3

2 0 1 1

# ՀՅՈՒՅԹԱԾՑՈ

# საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი გამოდის 2009 წლის იანვრიდან

# ივლისი აგვისტო სექტემბერი

## მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

საქართველოს მთხოვნებითა მოწვეული პადგენის ღირ-კორსარიზაციები:  
**ვლაშიერ კაკავა, ავთანდილ სილაბაძე, ლეო წიგავა**

ეკონომიკურ მდგრადირებათა ღორიზონტი:

იური ანანიაშვილი, როსებულის ასათიანი, კლიმატი აჩვლაშვილი, თემურ გერიავა, გიორგი გერესლავა, ვახტაძე გერეზელი, რევაზ გოგოავა, მიხეილ თორავაშვილი, რევაზ გაგულია, თემურ კანდელაშვილი, მურმარ კვარაცხელია, ალექსანდრ კურატაშვილი, იარაღ გმირა, ლეიმურა კავკაციისგვილი, სოლომონ პალიაშვილი, გიორგი პაპავა, უშაძეი საბადაშვილი, როდლაძე სარჩიმულია, ავთაძელი სორისი, თემურ გერიავა, მიხეილ გოგოავა, თომა წევიძე, ნინო არ ჰითავავა მიხეილ ჯიგუატი.

უცხომლი ვევრები: ანა ახვლებიანი (დიძი გრიტანეთი), კასუსისმგებელი მდივანი უცხოეთში), ლარისა ბელინსკაია (ლიტვა), ვლადი სიმაილოვი (აზერბაიჯანი), ბინდრა პასნაშვილი (ლიტვა), დავით პურფანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილი), ანტანას მასტიულუსი (ლიტვა), ვლაძიმერ მეჩიძიოვი (ლიაზია), მიხეილ როველტლივალი (აშშ), სლავონიქ პარტიცევი (კოლონეთი), ლიმიტრი სოროპინი (რუსთი), ადრეი პერგანი (კოლონეთი).

შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს აკტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

ଓଡ଼ିଆ

Paata Gugushvili Institute of Economics

# EKONOMISTI

International Scientific-Analytical Journal  
Published from January 2009

Jule  
August  
September      3      2011

**Editor-in-Chief      Ramaz Abesadze**

## SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:  
**Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze**

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Klementi Achelashvili, Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Giorgi Papava, Solomon Pavliashvili, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze, Mikhail Tokmazishvili.

ACADEMIC DOCTORS:

Nanuli Arevaladze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), master Giorgi Kuparadze (executive secretary).

FOREIGN MEMBERS:

Anna Akhvlediani (Great Britain, executive secretary abroad), Larisa Belinskaja (Lithuania), Eldar Ismailov (Azerbaijan), Gindra Kasnauskiene (Lithuania), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Antanas Mackstitus (Lithuania), Vladimir Menshikov (Latvia), Slawomir Partycki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia), Andrei Herman (Poland)

---

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

---

Tbilisi

ს ა რ ჩ ე ვ ი

ეკონომიკური თემრია

<i>Альфред Курамашвили – Так называемая «демократия» – путь в некуда(?)!</i>	5
--	---

სოციალურ-ეკონომიკური პროცესები

<i>ნაბუდი არვაძე – სიღარიბის დონე განვითარებად ქვეყნებში</i>	10
--	----

მაკროეკონომიკა

<i>გარიბა გუბიაშვილი – ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის როლი საქართველოში გრძელვადიანი მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაში</i>	14
---	----

პონქტები

<i>Nazim U. Hajiyev – Distinguishing between Procompetitive and Anticompetitive Agreements</i>	23
--	----

მეზობელი ქვეყნების ეკონომიკა

<i>Халид Али оглы Балакишиев – Иностранные инвестиции, вложенные в экономику Азербайджана и статистический анализ эффективности этих вложений</i>	29
---	----

სამრთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

<i>David Aptsiauri – The Challenges and Rewards of the Neighboring Oil rich region: Georgia and landlocked countries</i>	35
--	----

ეკონომიკური პრიზისი

<i>Анзор Курамашвили – финансовая политика и мировой экономический кризис: взаимосвязь и взаимообусловленность</i>	42
--	----

მაბისტრანტებისა და დოკტორანტების სამეცნიერო ნაშრომები

<i>ლია ქლიავა საბანკო კრიზისების პროგნოზირების თანამედროვე მიღღომები</i>	45
--	----

<i>თამარ ბაჩიაშვილი – საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემა და სოციალური ფაქტორი</i>	53
--	----

<i>თამარ ბაჩიაშვილი – საბაზრო ეკონომიკის ორიენტაციის პრობლემა და სოციალური ფაქტორი</i>	56
--	----

<i>სტატისტიკური კვლევის მეთოდები</i>	60
--------------------------------------	----

<i>სიახლე ეკონომიკურ მეცნიერებაში</i>	63
---------------------------------------	----

<i>ხეოვნა ინფორმაცია</i>	66 67
------------------------------	----------

## C O N T E N T S

### ECONOMIC THEORY

<i>Alfred Kuratashvili</i> – So-Called "Democracy" – the Way to no Where(?)!	<b>5</b>
--	----------

### SOCIAL-ECONOMIC PROBLEMS

<i>Nanuli Arevaladze</i> – The Level of Poverty in Developing Countries	<b>10</b>
---	-----------

### MACROECONOMICS

<i>Marina Muchiashvili</i> – The Role of Medium -term Budgeting in Achieving Medium Term Macroeconomic Stability in Georgia	<b>14</b>
---	-----------

### COMPETITION

<i>Nazim U. Hajiyev</i> – Distinguishing between Procompetitive and Anticompetitive Agreements	<b>23</b>
--	-----------

### ECONOMY OF NEIGHBOURING COUNTRIES

<i>Khalid ali oglu Balakishiyev</i> – The Foreign Investments in to the Economy of Azerbaijan and Statistical Analysis of their Effectiveness	<b>29</b>
---	-----------

### INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS

<i>David Aptsiauri</i> – The Challenges and Rewards of the Neighboring Oil rich region: Georgia and landlocked countries	<b>35</b>
--	-----------

### ECONOMIC CRISIS

<i>Anzor Kuratashvili</i> – The Financial Policy and World Economic Crisis: Interrelation and Interconditionality	<b>42</b>
---	-----------

### SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS

<i>Lia Eliava</i> – Modern Approaches to the Prediction of Banking Crises	<b>45</b>
---	-----------

<i>Tamar Bachiašvili</i> – The Problem of Economic Effectiveness of the Market Relations and the Social Factor	<b>53</b>
--	-----------

<i>Tamar Bachiašvili</i> – The Orientation Problem of Market Economy and the Social Factor	<b>56</b>
--	-----------

### STATISTIC RESEARCH METHODS

60

<b>INNOVATION IN ECONOMIC SCIENCE</b>	<b>63</b>
---------------------------------------	-----------

<b>MEMORY</b>	<b>66</b>
---------------	-----------

<b>INFORMATION</b>	<b>67</b>
--------------------	-----------

ეკონომიკური მუსიკა

Альфред Кураташвили  
Доктор экономических наук, профессор

ТАК НАЗЫВАЕМАЯ «ДЕМОКРАТИЯ» – ПУТЬ В НЕКУДА(?!)

Научный анализ теоретических взглядов, связанных с пониманием сущности термина – «демократия», имеет принципиальное значение, ибо, *во-первых*, любой социально-философский и политико-правовой термин должен отражать реально существующие или хотя бы потенциально осуществимые социальные процессы, и, *во-вторых*, исследование проблем так называемой «демократии» приобретает особую актуальность в современном мире.

Притом, актуальность и значимость исследования данных проблем возрастает в связи с тем, что «демократия», по моему глубокому убеждению, вообще неосуществима.

Вместе с тем, за исключением моих научных трудов, не встречаются научные публикации, в которых рассматривалась и обосновывалась бы невозможность осуществления так называемой «демократии».

Целью данного исследования является научное обоснование утопичности, т.е. неосуществимости так называемой «демократии» – невозможности владения верховной государственной властью всем народом, а также обоснование необходимости утверждения власти интересов народа, вместо пустого декларирования так называемой «демократии».

Следует особо отметить, что под так называемой демократией обычно подразумевают капитализм. Однако, *во-первых*, демократия – власть народа, и капитализм – власть денег, власть капитала, явно несовместимы, ибо власть денег, власть капитала не может быть одновременно и властью народа, а потому капитализм – это не демократия (*это не демократический строй*), а, как я его называю, «деньгократия».

И, *во-вторых*, демократия – власть народа (*владение верховной властью всем народом*) – реально вообще неосуществима *не только при капитализме*, но и вне капитализма, ибо *ни в одной общественно-государственной системе* весь народ не может иметь власть над самим народом – ни теоретически, ни практически, *т.е. весь народ не может управлять самим народом и государством*.

Вместе с тем, если бы даже было возможно «осуществление демократии» – «осуществление власти народа», т.е. владение верховной власти всем народом (одновременно каждым человеком) в обществе и в государстве, то ни к чему хорошему оно бы не привело, ибо это означало бы хаос и полный беспредел в обществе и в государстве.

Если, например, симфоническим оркестром будет дирижировать не один дирижер, а одновременно будут дирижировать все музыканты – все члены оркестра, то можно себе представить каков будет результат(?!).

Народ должен принимать активное участие в управлении государством – *а точнее в том, чтобы способствовать эффективному управлению государством, что может быть осуществлено в разных формах*, однако в целом управлять государством весь народ никогда не сможет, так как это организационно неосуществимо.

Следовательно, по моему глубокому убеждению:

Там, где есть государство – не может быть демократии.

А там где нет государства – тем более не может быть демократии, ибо “демократия” – власть народа, т.е. когда верховной властью владеет весь народ – реально вообще неосуществима.

Таким образом, создается впечатление, что «демократия» – это сказка или идеология, точнее же – это идеологизированная сказка, созданная для одурманивания народов(?!).

Поэтому надо кончать «пудрить мозги» народам так называемой «демократией», ибо любая так называемая «демократия» – это, *в лучшем случае, как я ее называю*, плюралистическая диктатура, *то есть* – это общественно-государственная система, где люди имеют право высказывать свое мнение, но, *в конечном счете*, управление обществом и государством осуществляется с центра – верховной государственной властью, *с учетом или без учета мнения тех людей (мнения народа), которые не владеют этой властью*.

Исходя из вышеотмеченного логически следует, что вместо одурманивания народов идеологизированной сказкой о «демократии», государства должны идти по пути верховенства интересов человека – по пути верховенства интересов народа, *которому должна быть подчинена деятельность государственной власти*.

Любая государственная власть должна понимать, что государственной властью владеет не весь народ, а владеет ею сама государственная власть.

Притом государственная власть должна понимать, что она обязана служить интересам человека – интересам народа.

Вместе с тем, государственная власть должна понимать, что она ответственна за обеспечение реализации интересов народа, ибо если бы верховной властью в государстве владел весь народ (*что невозможно и неосуществимо*), то за реализацию интересов народа был бы ответственен сам народ.

Таким образом, исходя из интересов народа, государством должна управлять государственная власть, *ибо именно в этом заключается назначение государственной власти*, так как если бы народ мог сам управлять народом, то тогда не было бы нужды в существовании государства.

Государство без государя, *т.е. государство без государственной власти* – это уже не государство. *Образно говоря*, государство без государя – это то же самое, что человек без головы.

Государственная власть – необходимый атрибут наличия (существования) государства. А государственная власть и одновременно власть народа в обществе и в государстве несовместимы и неосуществимы, ибо представляют собой взаимоисключающие понятия.

Вместе с тем, если под термином «демократия» подразумевается форма государственного правления, при котором будто бы верховная власть принадлежит народу, но при котором власть осуществляется через представителей народа (*так называемая представительная демократия*), через делегирование народом своих прав отдельным лицам или группе лиц, то в действительности это не демократия – это не власть народа, то есть – это не владение власти народом, а в лучшем случае – это власть представителей народа, то есть – это владение власти представителями народа, что вовсе не равнозначно власти народа – не равнозначно владению власти народом.

Более того, само существование выборов является еще одним подтверждением отсутствия и неосуществимости так называемой демократии, ибо сам факт избрания государственной власти еще раз доказывает, что сам народ не является властью.

В действительности же государственная власть в любом обществе и государстве – это власть власти, это власть, которой владеет государственная власть, а не народ, т.е. это не так называемая «демократия», а, *как я ее называю*, – это кратократия, независимо от того, чьим интересам она служит.

Необходимо особо отметить, что власть власти, т.е. владение властью власти – кратократия – *объективно необходима* в любом обществе и государстве, *как необходимое средство реализации цели*, ибо в противном случае не будет порядка в стране, *а*,

соответственно, невозможно будет эффективное решение проблем в масштабе государства.

Однако главное то – какова государственная власть и чьим интересам она служит?!

Служит ли она реализации высшей социальной цели – реализации интересов народа, или является политическим средством, служащим орудием обогащения отдельных лиц за счет порабощения и ограбления народа.

Следовательно, логично и правомерно говорить не о неосуществимой власти народа, а о власти интересов народа, *о диктатуре интересов народа*, которая может осуществляться в разных формах, ибо, *по моему глубокому убеждению*, важна сама по себе не та или иная форма организации и управления обществом и государством, которая является (*должна быть*) лишь средством реализации цели, а сама цель, которой она служит.

В частности, для меня важнейшим и определяющим является реализация социальной цели – реализация интересов народа, реализация интересов каждого человека, для осуществления которой, *как я отмечал еще в 1980 году*, все пути, формы и методы оправданы, если они при этом исключают антисоциальные, антигуманные, антингравственные явления [1, с.93].

Необходимо здесь особо отметить то, что вообще я *не против тех процессов и тех институтов власти, которые принято называть демократическими*, но лишь в том случае, если они реально (*а не только на словах*) служат реализации социальной цели – реализации интересов народа.

Вместе с тем, если так называемые демократические процессы и институты власти, и вообще так называемые демократические методы управления служат интересам человека – интересам народа, то эти методы в действительности являются и должны называться не демократическими методами, а гуманистическими методами управления.

Притом, все эти процессы и институты власти являются (*должны быть*) лишь политическими средствами реализации цели.

Естественно, что я всегда был сторонником и борцом за защиту прав и свобод человека, за свободу слова, за свободу новых прогрессивных идей, за свободу развития частного предпринимательства, за многообразие форм собственности и т.д., о чем я писал еще много лет назад [1, с.93].

Однако я был и являюсь сторонником всего вышеотмеченного лишь в том случае, если они, *как уже отмечалось*, служат реализации интересов народа, что вовсе не равнозначно так называемой «демократии» – власти народа, *а является лишь показателем служения государственной власти интересам народа, что свойственно (что должно быть свойственно)* Истинно человеческому обществу и Истинно человеческому государству, теории которых были созданы мной ранее.

Уже само наличие государственной власти (*хорошей или плохой, способной или неспособной*) показывает и доказывает невозможность существования демократии – власти народа – в условиях существования общества и государства.

Более того, демократия была бы невозможна даже в условиях отсутствия государства (*если бы такое можно было себе представить*), ибо даже в таком случае выявился бы лидер, который бы взял власть в свои руки.

Поэтому надо покончить с использованием термина “демократия” – надо покончить с использованием неосуществимой сказки, необоснованно идущей из глубины веков.

Раймон Арон в труде «Демократия и тоталитаризм» пишет, что Аристотель на основе сравнительного изучения функционирования режимов греческих полисов «создал свою прославленную классификацию трех основных режимов: монархического – когда

верховная власть принадлежит одному; олигархического – когда верховная власть принадлежит нескольким; демократического – когда верховная власть принадлежит всем» [2, с.856-857].

В связи с прославленной классификацией Аристотеля, необходимо обратить внимание на то, что он создал ее, как было отмечено выше, на основе изучения функционирования греческих полисов, а греческие полисы – это были «античные города в Причерноморье, рабовладельческие полисы; возникли в ходе греческой колонизации с 6 в. до н.э.» [3, с.63].

Следовательно, *введение в научный оборот и в практику термина «демократия»* – как формы государственно-политического устройства, по моему глубокому убеждению, еще изначально было явной ошибкой Аристотеля (*несмотря на то, что он был одним из величайших мыслителей всех времен*), ибо в рабовладельческих полисах никак не могло быть так называемой «демократии» – власти народа – уже потому, что рабы не могли иметь власть.

Исходя из вышеотмеченного, логически следует, что рабы не считались людьми, рабовладельцы же властвовали(?!). Вот вам и так называемая «демократия»(?!).

*Получается, что власть рабовладельцев будто бы есть так называемая «демократия», в тех условиях, когда рабы не считаются людьми(?!).*

Хотя даже в этом смысле не могло быть так называемой «демократии» – власти рабовладельцев, будто бы как власти народа, ибо, во-первых, рабовладельцы не представляли собой весь народ. И, во-вторых, хотя рабовладельцы властвовали над рабами, однако все они (т.е. рабовладельцы) вместе не могли представлять собой государственную власть, не могли все вместе управлять государством, даже в том случае, если бы рабы действительно не были бы людьми.

Притом, если порабощенные народы и ныне не считать людьми или, более того, если народ вообще не считать народом, и если народом (людьми) считать лишь государственную власть – лишь государственных должностных лиц (притом если представить себе, что все государственные должностные лица владеют верховной властью в государстве, что даже немыслимо), то тогда «можно будет считать», что существует так называемая «демократия»(?!).

Но это же в действительности не «демократия» – не власть народа, а власть власти – кратократия, в ее самом худшем понимании и проявлении, когда власть служит не интересам народа, а выступает в качестве орудия порабощения народа.

Таким образом, во-первых, считаю глубинной ошибкой наличие в отмеченной классификации Аристотеля – несуществующего поныне и неосуществимого в будущем демократического строя.

И, во-вторых, считаю неверным брать за критерий любой классификации – число людей, обладающих верховной властью, что является проявлением философии средств, ибо главное – не количество людей, обладающих верховной властью, а цель, которой они служат, т.е. необходимо основываться на созданной мной философии цели и на созданной мной же философии социальной цели, а не на глубоко ошибочном философском подходе, называемом мной философией средств [4].

Соответственно, для строительства и функционирования Истинно человеческого общества и государства – общества и государства, служащего интересам народа, необходимо исходить из социальной цели и учитывать экономические, политические и т.д. средства ее реализации, ибо главное – цель, которой служит деятельность власти, что еще раз подтверждает необходимость основываться на философии цели, а не на философии средств.

Считаю важным отметить также, что с возникновением государства должна была бы исчезнуть так называемая «демократия», если бы она до того существовала (если бы она до того могла существовать), ибо государство и «демократия» несовместимы.

### Использованная литература

- 1. Кураташвили Альфред А.** Философско-политэкономические миниатюры. Материалы Республиканской научной конференции: «Актуальные проблемы теории» (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: «Мецниереба», 1980.
- 2. Арон Раймон.** «Демократия и тоталитаризм». Мухаев Р.Т. Хрестоматия по теории государства и права, политологии, истории политических и правовых учений. – М.: «Издательство ПРИОР», 2000.
- 3. Советский энциклопедический словарь.** 4-е изд. – М.: Сов. энциклопедия, 1989.
- 4. Кураташвили Альфред А.** Философия социальной цели. Принципиально новое научное направление – исходная теоретическая основа формирования и функционирования истинно человеческого общества и государства (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003.

*Alfred Kuratashvili  
Doctor of Economic Sciences*

### SO-CALLED "DEMOCRACY" – THE WAY TO NO WHERE(?)!

#### Summary

In scientific work the problems connected with understanding of essence of the term – "democracy", and on the basis of the critical analysis of sights available in the world the author proves impracticability of "democracy".

## სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზები

**ნახული არევაძე  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

### სიღარიბის დონე განვითარებად შვევებში

სიღარიბე თანამედროვეობის ერთ-ერთ უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად და კაცობრიობის განვითარების ისტორიის მუდმივ თანამგზავრად შეიძლება ჩაითვალოს. ის, რადაც ზომით, ყველგან არსებობს და ამას თავისი საფუძველი, ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის მრავალი მიზეზი გააჩნია.

უნდა აღინიშნოს, რომ სიღარიბეზე საუბრისას ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს განვითარებადი ქვეყნები, რამდენადაც ამ ქვეყნებში სიღარიბე იმდენად გამოკვეთილი, ყოველმხრივი და მასობრივია, რომ ის აღიალობრივი მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების ნორმად არის გადაქცეული.

როგორც ცნობილია, განვითარებადი ქვეყნები, თავისი მრავალრიცხოვნობის გამო, ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან ტერიტორიების სიდიდოთა და მოსახლეობის რიცხოვნობით, ეკონომიკური რესურსების რაოდენობითა და ხასიათით, ეკონომიკური განვითარების დონითა და ზრდის ტემპებით. თუმცა, ყოველი მათგანისათვის (ცალკეული გამონაკლისის გარდა) დამახასიათებელია სუსტი ეკონომიკა, მოსახლეობის განათლების დაბალი დონე (ხშირ შემთხვევაში სრული უწიგურობა), უმუშევრობა, სიღარიბე, კორუმპირებულობა, დიდი საგარეო ვალი და ა. შ. განვითარებად ქვეყნებზე მოდის დედამიწის მთვლი ტერიტორიისა და მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი, რაც არ შეიძლება ითქვას კატასტროფულად დაბალ შემოსავლებზე. ამასთან თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო შესამჩნევი ხდება კონტრასტების გადრმავება შემოსავლების მიხედვით, როგორც ცალკეულ ქვეყნებსა და პლანეტის რეგიონებს, ისე ქვეყნების შიგნით ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს შორის. გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის განცხადებით (2008 წლის ივლისში) მსოფლიოში ყველაზე მდიდარ 400 ოჯახზე უფრო მეტი რესურსი მოდიოდა, ვიდრე მილიარდ დატაგზე. უნდა ითქვას იმაზეც, როცა განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა ახლა ცდილობს ინდუსტრიულ რელებზე გადასვლას და მსოფლიოსათვის დღემდე რჩებიან აგრარული ნედლეულისა და სასარგებლო წიაღისეულის მიწოდებელ ბაზად. მათი ეკონომიკა უკიდურესად სუსტი და ჩამორჩენილია, შესაბამისად შემოსავლები ძალზე მცირე, ცხოვრების დონე დაბალი, რომლის მუდმივი თანამგზავრია შიმშილი, სასმელი წელისა და სანიტარული კეთილმოწყობის უქმნებელი, სიცოცხლის მცირე ხანგრძლივობა, სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი ახალშობილთა შორის და ასეთ პირობებში მრავალი მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

დარიბთა რიცხოვნობის ზღვარად, საერთაშორისო კრიტერიუმებით, დადგენილია დღეში აშშ-ის 1,25 დოლარი 2005 წლის ფასებით. მოხმარების ეს

დონე, გასაშუალებული მაჩვენებელია, გათვლილი 10-12 უდარიბესი ქვეყნის მონაცემების მიხედვით. ე.ი. სიდარიბის დონის შეფასების კრიტერიუმად უდარიბესი ქვეყნების სტანდარტებია აღიარებული. ამდენად, სიდარიბის ზღვარი ზოგიერთ ქვეყანაში ამ ციფრზე დაბალია, ზოგიერთში – პირიქით, მასზე მაღალი. მაგალითად, სიდარიბის ზღვარის ეროვნულ მაჩვენებლად, ჩინეთში ან ინდოეთში აშშ-ს 1 დოლარია მიწნეული, ხოლო ლათინურ ამერიკასა ან ევროპაში 2 დოლარი. [2]

როგორც ძველი, ისე 2005 წლის მონაცემების მიხედვით, ყველაზე დიდი მოცულობით, დარიბი მოსახლეობა სამხრეთ აზიაში, წყნარი ოკეანის რეგიონსა და აფრიკაში ცხოვრობს. ამათგან ყველაზე უარესი მდგომარეობაა აფრიკაში, კერძოდ, 1981-2005 წლებში იმ მოსახლეობის რიცხვი, რომლებიც დღეში 1,25 დოლარზე ნაკლებს მოიხმარდა, აფრიკაში თითქმის გაორმაგდა, ზრდა განსაკუთრებით შესამნევი 1996 წელს იყო, როცა მისმა ხვედრითმა წილმა 57,5 პროცენტი შეადგინა, თუმცა შემდეგ შემცირდა და 2005 წლისათვის 50,4 პროცენტამდე დაეცა, მაშინ, როცა ამ სოციალური ჯგუფის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა იმავე პერიოდში 182 მილიონით გაიზარდა.

აფრიკაში სიდარიბის სიღრმე ბევრად მეტია, ვიდრე მსოფლიოს სხვა რეგიონებში. მოსახლეობის დარიბი ფენების მიერ მოხმარების დღიური დონე იქ კიდევ უფრო დაბალია და 2005 წელს მხოლოდ 70 ცენტს შეადგენდა, ანუ სიღარიბის აღიარებული ზღვარის 1,25 დოლარის ნახვაზე ოდნავ მეტი იყო (0,58). მაშასადამე, იმისათვის, რომ აფრიკამ შემდოს თუნდაც სიდარიბის აღიარებულ ზღვრამდე მიღწევა, მას განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ბევრად უფრო მაღალი ტემპები ესაჭიროება.

1981-2005 წლებში, დარიბი მოსახლეობის ხვედრითი წილი ყველაზე მნიშვნელოვნად ჩინეთში შემცირდა, ასე მაგალითად, თუ 1980 წელს მისი მოსახლეობის 84% დღეში მხოლოდ 1,25 დოლარზე ნაკლებს ხარჯავდა, 2005 წელს ეს ციფრი 15,9%-მდე დაეცა, მაშასადამე, მხოლოდ ჩინეთში ამ პერიოდში დარიბი მოსახლეობის რიცხოვნობა 628 მილიონი კაცით შემცირდა.

მთლიანად განვითარებად მსოფლიოში, ჩინეთის გარეშე, იმ მოსახლეობის ხვედრითი წილი, რომლებიც დღეში 1,25 დოლარზე ნაკლებს მოიხმარდა, 40%-დან 29%-მდე შემცირდა, სამხრეთ აზიაში 60%-დან 40%-მდე ასევე, შემცირდა სიღარიბის დონე ლათინური ამერიკის და კარიბის აუზის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში, მაგრამ ეს შემცირება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს დარიბი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა.

მთლიანად მსოფლიოში, 2005 წელს დღეში 1 დოლარზე ნაკლებს ხარჯავდა 879 მილიონი ადამიანი; 1,25 დოლარზე ნაკლებს – 1399,8 მილიონი ადამიანი, ხოლო 2 დოლარზე ნაკლებს 2598,1 მილიონი ადამიანი, მათგან უდიდესი უმრავლესობა სწორედ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობაზე მოდიოდა, შესაბამისად 99,7; 98,3 და 98,6 პროცენტი. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბე ყველაზე არსებობს, უკიდურესი სიღარიბე ყველაზე მეტად, განვითარებადი ქვეყნების პრობლემად რჩება.

მსოფლიოში აბსოლუტური სიღარიბის შემცირების საქმეში, ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ჩინეთმა და ინდოეთმა შეიტანა, მაშინ როცა დარიბთა რიცხოვნობის აბსოლუტური მაჩვენებელი გაიზარდა აფრიკაში – საპარიდან სამხრეთით, ლათინურ ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, აგრეთვე ცენტრალურ აზიაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, სიღარიბის მასშტაბების შემცირების გლობალური ძალისხმევა წარმატებულად მხოლოდ ჩინეთსა და ინდოეთში შეიძლება ჩაითვალოს, რაც შეეხება სხვა განვითარებად ქვეყნებს, ამისი თქმა შეუძლებელია.

ცხოვრების ასეთივე პირობებში, 2006 წლის მონაცემებით, მსოფლიოში არსებობას 2,5 მილიარდი ადამიანი განაგრძობდა. უკანასკნელ წლებში განვითარებულმა ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა მდგრმარეობა კიდევ უფრო დაამძიმა, მით უმეტეს, რომ კრიზის წინ უძღვდა ფასების მკვეთრი ზრდა სურსათსა და ენერგომატარებლებზე. მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2008 წელს დარიბთა რიცხვი, მარტო ამ ფაქტორის ზემოქმედებით 130-155 მილიონი კაცით გაიზარდა. მათივე პროგნოზით, ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. [3]

საერთაშორისო საგადაუტო ფონდის პროგნოზით, დაბალშემოსავლიანი ქვეყნები შეეჯახებიან საგარეო საგადამხდელო ბალანსის გაუარესების პრობლემას, დაგაგშირებულს მოთხოვნის შემცირებასთან მათ მიერ ექსპორტირებულ საქონელზე, რაც ამ ქვეყნებს აიძულებს შეამცირონ სოციალური გადასახადები სწორედ მაშინ, როცა მათზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზრდება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს უთანაბრობასა და სიღარაკეს.

ამ უსისარულო სურათის ფონზე, ღირს გავისეხნოთ ნიუ-იორკში 2000 წელს, ათასწლეულის სამიტზე, მსოფლიო ლიდერების მიერ გაკეთებული ხმა-მაღალი განცხადებები იმის თაობაზე, რომ არ დაიშურებენ ძალისხმევას, რათა ადამიანები საკუთარი ღირსების დამამცირებელი სიდარიბისაგან გაანთავისუფლონ. ისინი დაპირდენებ მსოფლიოს, რომ 2015 წლისათვის ორჯერ შეამცირებენ იმ ადამიანთა რიცხოვნობას, რომლებიც შიმშილობენ და დღეში მხოლოდ 1 ლოდარს ხარჯავენ. როგორც ჩანს, კრიზისების ზემოქმედება, სრულ არარაბად თუ არა, ყოველ შემთხვევაში აშეარად დაამუხხუჭებებს ათასწლეულის დეპლარაციაში ფორმულირებულ დაპირებებს. როგორც ჩანს, თუ კრიზისები სათანადოდ არ იქნა შეფასებული და ყურადღებამიქცეული, დარიბი ადამიანები და მათი ოჯახები კიდევ დიდხანს დარჩებიან სიდარიბის მანკიერ წრეში, რაც თანხდათანობით მექანიზრებით თაობიდან თაობაში გადავა და პირველ რიგში დაასუსტებებს ყოველი ქვეყნის ძლიერების საფუძველს – ადამიანურ რესურსებს, იმის გამო, რომ ნაკლები დაიხარჯება განათლებაზე, კვებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე. მით უმეტეს, რომ ბაგშვებიან ოჯახებში სიღარიბის დონე საშუალოზე ბევრად უფრო მაღალია.

სიდარიბის დონის განხილვის დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს შემოსავლების უთანაბრობის გაძლიერების პრობლემა, რამდენადაც გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან (გლობალიზაციის გაღრმავების დასაწყისი) სხვაობა მდიდარ და დარიბ ქვეყნებსა და ქვეყნის შიგნით მდიდარ და დარიბ ფეხებს შორის მკვეთრად იზრდება. როგორც ცნობილია, ეს მაჩვენებელი ჯინის კოეფიციენტის მიხედვით იზომება და გამოხატავს მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ხვედრით წილს შემოსავლების საერთო მოცულობაში. გამოითვლება 0-დან 1-მდე და რაც უფრო ახლოა ის 0-თან, შემოსავლების განაწილება მით უფრო თანაბარი და სამართლიანია, ხოლო, რაც უფრო დაშორებულია 0-ს, შემოსავლები მით უფრო უთანაბროდ არის დანაწილებული.

ჩინეთსა და ინდოეთში, მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების ზრდის პირობებში, მსოფლიოს ქვეყნებს შორის არსებული უთანაბრობა რამდენადმე შემცირდა, მაგრამ ამ ქვეყნების გათვალისწინების გარეშე გათვლილი ჯინის კოეფიციენტი, უთანაბრობის შემდგრმი ზრდის მაჩვენებელია. კერძოდ, 1980 წლის 0,47-დან 0,53-მდე 2000 წელს. ქვეყნებს შიგნით კი, 1980-2005 წლებში უთანაბრობა შემოსავლებში გაიზარდა 59 ქვეყნიდან 114 ქვეყნამდე, ხოლო შემცირდა 40 ქვეყანაში [4, გვ.9]. მაშასადამე, თითქმის ყველა განვითარებად სახელმწიფოში შემოსავლების განაწილება მეტად უთანაბრო, მათგან განსაკუთრებით ცუდი ვითარებაა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, გვატემალა, გონდურასი, კოლუმბია, ლიბანი, ნიკარაგუა,

პანამა, პარაგვაი, პერუ და სხვა, სადაც ჯინის კოეფიციენტი 0,50 და უფრო მაღია.

მაშასადამე, თუ მსოფლიოს მართლა სურს სიღარიბის პრობლემის თუნდაც ნაწილობრივი გადაწყვეტა, მის წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ განვითარებად ქვეყნებში უნდა გააძლიეროს. ამასთან, ბრძოლას უნდა პქონდეს სისტემატიური და ყოველდღიური ხასიათი და არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კამპანიური ხასიათის ცალკეული ლოკალური ღონისძიებებით.

### **ბაზობებული ლიტერატურა**

1. ქ. МЭМО, 2006, № 6;
2. <http://econ.worldbank.org/Povcalnet/>;
3. Мировое экономическое положение и перспективы по состоянию на середине 2009 года. Основная сессия Экономического и Социального Совета 2009 года, Женева 6-11 июля 2009 г.;
4. Генеральная Ассамблея ООН, Шестьдесят четвертая сессия, Пункт 63(а) предварительной повестки дня, Мировое социальное положение, 2009 год, стр 9. A/64/158.

*Nanuli Arevaladze*  
Academic Doctor of Economics

## **THE LEVEL OF POVERTY IN DEVELOPING COUNTRIES**

### **Summary**

In the article the high level of poorness is analyzed in the developing countries. Also the factors of its reduction or increase are examined and the main problems, which are characteristic to these countries. Gini coefficient of income inequality is also reviewed.

## მაკროეკონომიკა

**მარინა მუხრაშვილი  
თხუ ასოცირებული პროფესორი**

### **პიზჯეტის საშუალოვადიანი დაბეგმვის ორლი საქართველოში ბრძმდვადიანი მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაში**

თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალოვადიანი დაბეგმვის როლი, რაც, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, მისი გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ეკონომიკაში სხვადასხვა სახის დისბადანსების შერბილებასა და, საზოგადოდ, ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიზნის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შეფასების მიზნით მიზანშეწყობილად მიგამინია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოთვლილი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) გამოყენება, ის არის ქვეყნის ზრდის პოტენციალის შეფასების მსოფლიოში აღიარებული მეთოდი, რომელიც თითოეული ქვეყნის შედარებითი უპირატესობების გამოთვლის საშუალებას იძლევა.

GCI-ის ინდექსის გამოთვლა ემყარება იმ სტრუქტურული, ინსტიტუციური და სხვადასხვა სახის პოლიტიკების გაანალიზებას, რომლებიც განსაზღვრავენ განხილული ქვეყნების პრიდუქტიულობის, საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარებისა და ტექნიკური განვითარების დონეებს.

GCI-ის ინდექსის გაანგარიშება მიზნად ისახავს ძირითადად საშუალოვადიან (კერძოდ, ხუთწლადნ) პერიოდში მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად თითოეული ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაზომვას. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლის დროს ხორციელდება იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თითოეულ ქვეყნაში მიმზიდველი “ბიზნესგარემოს” ფორმირებისა, ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და მწარმოებლურობის დონის შეფასების თვალსაზრისით. მისი გამოთვლის დროს ქვეყნები, განვითარების დონეების მიხედვით, დაყოფილია სამ საფეხურად, რომელთაგან პირველი ფაქტორებითაა მართული, მეორე – ეფექტურობით, ხოლო მესამე – ინოვაციებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ამ სფეროში განხორციელებული პირველი გამოკვლევიდან დღემდე ფაქტორების რიცხვი, რომლებიც განსაზღვრავდნენ ეკონომიკურ ზრდას, მნიშვნელოვნად გაიზარდა. შესაბამისად, ყოველწლიურად ხორციელდება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლის მიზნით გამოყენებული ჩარჩოების განახლება და სრულყოფა.

დღეისათვის ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით ყველაზე დაბალ, პირველ საფეხურზე იმყოფებიან ქვეყნები, რომელთა მშპ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, არ აღემატება 2000 აშშ დოლარს. 2010-2011 წლებში გამოკვლევის მიხედვით ამ საფეხურზე იმყოფებოდა 38 ქვეყანა (ანუ განხილული ქვეყნების 27,3%). პირველიდან მეორეზე გარდამავალ საფეხურზე მყოფ ქვეყნებში მშპ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 2000-დან 3000 აშშ დოლარამდეა. ამ საფეხურზე იმყოფებოდა 25 ქვეყანა (18%). მათ ჯგუფში მოექცა საქართველოც (ერთ სულზე მშპ - 2 860 აშშ დოლარის ოდენობით). შედარებისათვის, ამავე ჯგუფში შედის: აზერბაიჯანი, სომხეთი და უკრაინაც. მაშა-

სადამე, 2010-2011წწ გამოკვლევის მიხედვით განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფება განხილული ქვეყნების 45%-ზე მეტი.

ეკონომიკური განვითარების მე-2 საფეხურზე მყოფი ქვეყნებისათვის მშპ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 3000-9000 აშშ დოლარის ფარგლებშია. მასში, უკანასკნელი წლების მონაცემებით, შედის 29 ქვეყანა (მათ შორისაა ოურქეთი). მე-2-დან მე-3 გარდამავალ საფეხურზე მყოფი ქვეყნებისათვის მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 9000-17000 აშშ დოლარის ფარგლებშია. მასში შედის 15 ქვეყანა (მათ შორის: რუსეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი). განვითარების მოცემულ საფეხურზეა განხილული ქვეყნების 31,7%.

ეკონომიკური განვითარების მე-3 საფეხურზე მყოფ ქვეყნებში მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 17 000 აშშ დოლარზე მეტია. ამ საფეხურზე იმყოფება განხილული ქვეყნებიდან მხოლოდ 32. შესაბამისად, განვითარების მოცემულ საფეხურზეა ქვეყნების მხოლოდ 23%.

ქვეყნის განვითარების დონე ფასძება განსაზღვრული მოთხოვნების საფუძველზე, კერძოდ, 1. ფაქტორებით მართული ეკონომიკებისათვის საბაზისო მოთხოვნებია: ინსტიტუტებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება, მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ჯანდაცვისა და პირველადი განათლების ხელმისაწვდომობა. 2. ძირითადი მოთხოვნები ეფექტურობით მართული ეკონომიკებისათვის არის: უმაღლესი განათლება და ტრენინგი, საქონლის ბაზრის ეფექტურობა, მრომის ბაზრის ეფექტურობა, ფინანსური ბაზრის განვითარების დონე, ტექნოლოგიური მზადებლები, ბაზრის ზომა. 3. ინოვაციებით მართული ეკონომიკებისათვის ძირითადი მოთხოვნებია ბიზნესის მაღალი დონე და ინოვაციები.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2010-2011 წლების მოხსენებაში საქართველოს, გლობალური კონკურენტურიანობის ინდექსის მიხედვით, 3,86 ქულით (რაც ამ ინდექსის საშუალო მაჩვენებელია) მხოლოდ 93-ე ადგილი უკავია, 2004-2005 წლებში – 94-ე; 2005-2006 წლებში – 86-ე ; 2006-2007 წლებში – 87-ე; 2007-2010 წლებში კი – 90-ე ადგილი ეკავა; 2010-2011 წლებში გლობალური კონკურენტურიანობის ინდექსის მიხედვით 139 ქვეყანას შორის პირველი ადგილი ეკავა შვეიცარიას (5,63 ქულით); ესტონეთს 33-ე (4,61 ქულით, კრიზისამდე – 27-ე); ლიტვას – 47-ე (4,38 ქულით, კრიზისამდე – 38-ე); აზერბაიჯანს 57-ე (4,29 ქულით, კრიზისამდე – 66-ე); თურქეთს – 61-ე (4,25 ქულით, კრიზისამდე – 53-ე); რუსეთს – 63-ე (4,24 ქულით, კრიზისამდე – 58-ე); ლატვიას – 70-ე (4,14 ქულით, კრიზისამდე – 45-ე); უკრაინას – 89-ე (3,90 ქულით, კრიზისამდე – 73-ე); სომხეთს – 98-ე (3,76 ქულით, კრიზისამდე – 93-ე). მაშასადამე, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა უველაზე დიდი უარყოფითი ზეგავლენა ზემოთ მოტანილი ქვეყნებიდან ლატვიაზე მოახდინა, რამდენადაც გლობალური კონკურენციის ინდექსის მიხედვით ამ ქვეყანამ – 25 დაბლა გადაინაცვლა; უკრაინამ – 16; ლიტვამ – 9; თურქეთმა – 8; ესტონეთმა – 6; სომხეთმა და რუსეთმა – 5-5 ადგილით. აღსანიშნავია ის, რომ ამ ფონზე კრიზისის შემდეგ აზერბაიჯანმა 9 ადგილით წაიწია წინ.

საქართველოს რეიტინგები სამი ქვეინდექსის მიხედვით 2006-2007 წლების მონაცემებით მსოფლიოში 82-ე ადგილი ეკავა, 2010-2011 წლებში კი მან 95-ე ადგილზე გადაინაცვლა – 4,13 ქულით.

საბაზისო მოთხოვნები სულ 46 კომპონენტს შეიცავს, რომლებიც დაჯგუფებულია 4 სვეტად. I სვეტი – ინსტიტუტები (ა.სახელმწიფო; ბ. კერძო). II სვეტი – ინფრასტრუქტურა (ა. სატრანსპორტო; ბ. ენერგიისა და სატელეფონო). III სვეტი – მაკროეკონომიკური გარემო. IV სვეტი – ჯანდაცვა და პირველადი განათლება.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2010-2011 წლების მოხსენების მიხედვით, საბაზისო მოთხოვნების 46 კომპონენტიდან მხოლოდ 11 -ში გაქონდა კონკურენტული უპირატესობა განხილულ ქვეყნებთან შედარებით.

ეფექტურობის ინდექსით – 2006-2007 წლების მონაცემებით – საქართველოს 87-ე ადგილი ეკავა, 2010-2011 წლების მონაცემებით კი მან – 94-ე ადგილზე გადაინაცვლა. მათ შორის გამოიყოფა მე-5 სკეტი – უძალლესი განათლება და ტრენინგი, მე-6 – საქონლის ბაზრის ეფექტიანობა, მე-7 – შრომის ბაზრის ეფექტიანობა, მე-8 – ფინანსური ბაზრის განვითარება, მე-9 – ტექნოლოგიური მზადყოფნა, მე-10 – ბაზრის ზომა. ამ დონის 52 კომპონენტიდან ქვეყანას კონკურენტული უპირატესობა მხოლოდ 13-ის მიხედვით ჰქონდა.

ინოვაციის ინდექსის მიხედვით 2006-2007 წლებში ქვეყანა იყო 113-ე, ხოლო 2010-2011 წლებში კი – 121-ე ადგილზე (2.90 ქულა). ეს დონე მოიცავს ორ სკეტს. მე-11 – ბიზნესის დახვეწის და მე-12 სკეტს – ინოვაციები. ამ დონის 16 კომპონენტიდან საქართველოს არც ერთის მიხედვით არ გააჩნია კონკურენტული უპირატესობა.

მთლიანად სამივე ქვეინდექსი მოიცავს 110 კომპონენტს, რომლებიც ფასდება 0-დან 7-მდე ქულებით (5,45-დან 7-მდე – ძალიან მაღალი მაჩვენებელია, 4,51-დან 5,44-მდე – მაღალი; 3,51-დან 4,50-მდე – საშუალო; 3,01-დან 3,50-მდე – დაბალი და 0-დან 3-მდე – ძალიან დაბალი). აქედან საქართველოს კონკურენტული უპირატესობა გააჩნდა 86-დან მხოლოდ 24 კომპონენტის მიხედვით (139 ქვეყანას შორის).

2011 წლის ოქტომბეში საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ “საქართველოს სტრატეგიული განვითარების ათაუნქტიან გეგმაში – მოდერნიზაციისა და დასაქმებისათვის” ერთ-ერთი პუნქტია „მაკროეკონომიკური სტაბილურობა”, რაც გულისხმობს ეკონომიკის სწრაფი ტემპებით ზრდას, ვალის მცირე წესებს, მცირე ზომისა და კონტროლირებად საბიუჯეტო დეფიციტს, დაბალ ინფლაციას, მთავრობის მცირე ზომას და ფინანსური სისტემის მდგრადობას.

2004-2008 წლებში საქართველოში ეკონომიკის ზრდის შედარებით მაღალი ტემპი დაფიქსირდა. თუმცა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და რუსეთთან საომარი მოქმედებების შედეგად 2008 წელს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი მხოლოდ 2,3 % -ით გაიზარდა. 2009 წელს ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 3,8 % -ით შემცირდა. ეკონომიკური ზრდის დაცემას ქვეყანაშ შედარებით სწრაფად დაადგია თავი, რამიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2009-2010 წლებში საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულმა მასტიმულირებელმა ფისკალურმა პოლიტიკამ, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელი გახდა საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების მიერ საქართველოსათვის დიდი მოცულობის დახმარების (4,5 მილიარდი დოლარის ოდენობით) გამოყოფისა და ამ პერიოდში მისი მნიშვნელოვანი ნაწილის (50%-ზე მეტის) ეტაპობრივი მიღებით. შედეგად ქვეყანამ დროის ხანძოებე პერიოდში, კერძოდ, 2010 წლისათვის შეძლო ეკონომიკური ზრდის 6,4 პროცენტიანი ნიშნულის მიღწევა. მთლიანი პროდუქციის მოცულობებში მნიშვნელოვანი რეევებისა და ეკონომიკის ზრდის აღნიშნული ტემპების ცვლილებების მიუხედავად, 2004 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში საქართველომ დაბალ შემოსავლიანი ქვეყნებიდან დაბალ საშუალო შემოსავლიანი ქვეყნების რიგში გადაინაცვლა. ამ თვალსაზრისით დროის შედარებით ხანძოებე პერიოდში მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგების მიუხედავად, საქართველო მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის მიხედვით ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიოს ბევრ ქვეყანას, მათ შორის ევროკავშირის 27 ქვეყნის მაჩვენებელს დახლოებით ათჯერ. კიდევ უფრო დიდია განსხე-

ვავება ევროკავშირის ცალკეული და მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული რიგი ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებით. გამოთვლები აჩვენებს, რომ უახლოეს აოზღულში აღნიშნული ჩამორჩენილობის დასაძლევად საქართველომ უნდა მიაღწიოს ეკონომიკური ზრდის 10-14 პროცენტიან მაჩვენებლებს, რაც საჭარბე როგორც მიღწევადია და მოითხოვს კომპლექსურ ღონისძიებათა გატარებას. მათ შორის მნიშვნელოვანია ეფექტური ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და მისი თანმიმდევრული განხორციელება.

ეკონომიკის ზრდის მიღწეულ დაგებით შედგებთან ერთად მასტიმული-რებელ ფისკალური პოლიტიკის გატარებას თან ახლდა უარყოფითი შედეგებიც. კერძოდ, შედეგად გაუარესდა ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, როგორიცაა: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან. ამ მაჩვენებელმა 2009 წელს 35,1%-ს მიაღწია. 2010 წელს ეს მაჩვენებელი 31,2%-მდე შემცირდა, 2011 წლის გეგმით გათვალისწინებულია მისი 29,2%-მდე შემცირება, 2012 წლის პროგნოზი კი ითვალისწინებს ამ მაჩვენებლის 26,3%-მდე დაკვანას. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, იმის გამო, რომ ეს წელი და ასევე მომდევნო წელი წარმოადგენს საარჩევნო პერიოდს, ხარჯების აღნიშნული ჭრების დაცვის მიზნების მიღწევა გარკვეულ საფუძვლიან ეჭვებს გაიჩენს. 2008 წლის შემდეგ გაუარესდა ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან. კერძოდ, 2009 წელს – მინუს 9,2, 2010 წელს – მინუს 6,7, 2011 წელს კი – მინუს 3,7%. 2012- 2015 წლებში იგეგმება ამ მაჩვენებლის კიდევ უფრო შემცირება, თუმცა, ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, ეს მიზანიც ძნელი მისაღწევია. 2004 წლის შემდგომ პერიოდში გაიზარდა სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაშიც. კერძოდ, ამ მაჩვენებელმა 2010 წელს 42%-ს მიაღწია. 2012 წლის პროგნოზით გათვალისწინებულია 40%, ხოლო 2012 წლის პროექტით მისი კიდევ უფრო შემცირება. დიდი იყო მასტიმული რებულების ფისკალური პოლიტიკის წვლილი 2010-2011 წლების საშუალოწლიური ინფლაციის დონის ზრდაშიც.

მაშასადამე, 2009-2010 წლებში საქართველოში გატარებულმა ფისკალურმა პოლიტიკამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. შესაბამისად, აქტუალური გახდა 2012 წლიდან საშუალოვადიან პერიოდში „შემაგავებელი“ ფისკალური პოლიტიკის გატარების საკითხი. ფისკალური პოლიტიკის სვერული საქართველოშიც მწვავედ დგას რეალურად დაგეგმილი პროგრამული წლიური ბიუჯეტის შემუშავების საკითხი, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნაში ბიუჯეტის საშუალოვადიან დაგეგმვაზე გადასვლის პროცესს. აღნიშნული უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის მთავრობის მიერ დასახული გრძელვადიანი პოლიტიკის თანმიმდევრულ განხორციელებას და ისეთი მაკროეკონომიკური პარამეტრების მიღწევას, როგორიცაა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებისა და ბიუჯეტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების საშუალოვადიანი პერიოდისათვის განსაზღვრული მიზნობრივი პარამეტრების მიღწევას. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება მოწმობს, რომ რეალურად დაგეგმილი წლიური ბიუჯეტის საფუძველზე შემუშავებული საშუალოვადიანი ბიუჯეტი ამ ქვეყნებში მაკროეკონომიკური სტაბილურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცევა.

ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა ხელს უნდა უწყობდეს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების პირობებში ეკონომიკური ზრდის დაწარებას. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოში აქტუალურია ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაცია, რესურსების გადანაწილება მომავალი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი მიმართულებების უპირატესი წესით დაფინანსებისაკენ. შესაბამისად, საბიუჯეტო პოლიტიკის პრიორიტეტებია: განათლება

ბის სფერო, რაც ხელს შეუწყობს ცოდნაზე ორიენტირებული ეკონომიკის ფორმირებისათვის საფუძლების მომზადებას. ასევე, რეგიონების თანაბარი განვითარებისათვის ხელშეწყობა; სოციალური დაცვის სფეროს ხარჯების ზრდა და მისი სტრუქტურის ოპტიმიზაცია; სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესება; გარემოს დაცვა; მოქნილი და ეფექტური სახელმწიფო სექტორის ჩამოყალიბება; ტურიზმის, ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელშეწყობა. უნდა გაიზარდოს ბიუჯეტის როლი დღეოსათვის შემოსავლების მკვეთრად გამოხატული უთანაბრობის ეტაპობრივად დაძლევის მიზნით.

საქართველოს საბიუჯეტო პროცესში მირითადად გამოიყოფა შემდეგი სახის პროცესები: საშუალოვადიან და წლიური გეგმებს შორის სუსტი კაფ-შირი; არ არის უზრუნველყოფილი შეზღუდული რაოდენობის სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანი განაწილება; დაბალია საბიუჯეტო ხარჯების გამჭვირვალობის დონე; სუსტია ბიუჯეტის როლი მისი ერთ-ერთი მირითადი ფუნქციის – შემოსავლების თანაბარზომიერი გადანაწილების უზრუნველყოფაში. შესაბამისად, საქართველოში ჯინის კოეფიციენტი (0,6) სხვა ქვეყნებთან შედარებით ძალიან მაღალია. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საბიუჯეტო ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში (35%-მდე), რაც ხარჯების არსებული სტრუქტურის პირობებში ინფლაციის დონის ზრდის ერთ-ერთ მირითად ფაქტორად გადაიქცა. ასევე უნდა აღინიშნოს ბიუჯეტის შედეგების თავისებურებების შესახებ სახელმწიფო სექტორში: ბიუჯეტის ობიექტია სახელმწიფო პროგრამები და სახელმწიფო ეკონომიკური პროდიტიკის გატარება; ფინანსები შეზღუდულია; სუსტია დანახარჯების მინიმიზაციის სტიმულები; ძნელია ხარჯების გაწევის შედეგად მიღწეული შედეგის გაზირება; ბევრი მხარჯავი სუბიექტი დამოკიდებულია შემოსავლის ერთ წეაროზე (სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებზე); თითოეული მხარჯავი სუბიექტი თავისი ხარჯების ზრდას უმნიშვნელოდ მიიჩნევს მთლიან ხარჯებთან შედარებით; საგადასახადო ტვირთი ფართოდაა განაწილებული და გაფანტული განსახორციელებელ პროგრამებთან შედარებით; მხარჯავი ერთეულები უოველთვის მოთხოვენ უფრო მაღალ ხარჯებს, ვიდრე ეს არის სოციალურად ოპტიმალური; აქედან გამომდინარე, აგრეგირებულ დონეზე გასაწევი ხარჯების შეზღუდვების – “ხარჯების ჭერის” დაცვა მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიზნის მიღწევისათვის ძალზე კრიტიკულია. ეფექტიანი ბიუჯეტის შედეგების პრერეკვიზიტებია: საკმაოდ მძიმე არჩევანის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება საბიუჯეტო პროცესის აღრეულ ეტაპზევე. “ხარჯების ჭერის” დადგენა საბიუჯეტო პროცესის დასაწყისში (ხარჯების განწერა “ზემოდან ქვემოთ”) და განვითარების საშუალოვადიანი პერსპექტივის დადგენა. ამ წინაპირობების დაუცველობის შემთხვევაში შედეგი არასასურველი იქნება ანუ შედეგება არარეალური ბიუჯეტი, საჭირო გახდება მასში მუდმივი ცვლილებების შეტანა და აღილი ექნება სახელმწიფო სახსრების არაეფექტური ხარჯება.

საქართველოში MTEF (საშუალოვადიანი ხარჯების ჩარჩოები)/(MTB ) რეფორმების მირითადი მიზნებია: ბიუჯეტის დაკავშირება ქვეყნის გრძელვადიან ეროვნულ პოლიტიკასთან და მისი გამოყენება მთავრობის მიერ შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკის დანერგვის მიზნით; საშუალოვადიანი დაგეგმვის პოლიტიკით განვითარების გრძელვადიანი პერიოდის განსაზღვრული ნაწილის დაუპარვა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის მირითადი მოთხოვნებია: შემოსავლებისა და ხარჯების ზუსტი პროგნოზების გადეთება გრძელვადიანი პერიოდისათვის; ბიუჯეტისათვის „ხარჯების ჭერის“ დადგენა ანუ მთავრობის მიერ წლების მიხედვით დანახარჯების ზღვრული მოცულობების დადგენა და მისი დაცვა; ბიუჯეტის მომზადების

ხარისხის ამაღლება – რეალური ბიუჯეტის შედგენა; ”ხარჯების ჭერის” დაფარვა წლიური საბიუჯეტო პროცესის გაიოლების მიზნით. შესაბამისად, ბიუჯეტი, რომელიც აგებულია სტრატეგიული გეგმების შესაბამისად, პოლიტიკაზე საბიუჯეტო შეთანხმებების ფორუსირებას ახდენს. ბიუჯეტის პროექტი არის უფრო ინფორმაციული და შესაბამისად, უფრო რელევანტური. შედეგი – ბიუჯეტში თანხების განაწილება არის უფრო პოლიტიკაზე პრიენტირებული და თავსძება მრავალწლიანი ხარჯვითი პოლიტიკის ჩარჩოებში. MTB საშუალებას იძლევა უკეთესად გაკონტროლდეს ფისკალური შედეგი (Outcome), გათვალისწინებული იქნას ეკონომიკის საერთო მდგომარეობა და ფისკალური დისკიპლინის პოლიტიკური მხარდაჭერა.

ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის ეტაპებია: MTB –ის ჩარჩოს შემუშავება, რაც არის შემაკავშირებელი ხიდი საშუალოვადიან ფისკალურ მიზნებსა და ერთწლიან ბიუჯეტს შორის; გონივრული ეკონომიკური წინაპირობების დაგენერაცია და მასში დიდი ზომის გადასრულების თავიდან აცილება; “ზემოდან ქვემოთ” ბიუჯეტის შედგენის ტექნიკის დანერგვა – წინასწარი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ხარჯების მთლიანი მოცულობის დაგენერაცია;

MTB –ის დანერგვის შედეგად კარგი შედეგის მიღწევისათვის არსებითა რესურსების ხარჯვის (inputs) მიმართ ცენტრალური კონტროლის შესუსტება; გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზაცია საგენტოების დონეზე; შედეგებზე ფოკუსირება დეცენტრალიზაციის საფუძველზე; ბიუჯეტის გამჭვირვალობის ზრდა. პარლამენტის როლის ზრდა – პარლამენტის უნდა გააჩნდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების დაგენერაციი გაანალიზების, განხილვისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვისას მთავრობის კონტროლის ძლიერი ბერკეტები.

MTB-ის დანერგვის სფეროში ეკრანის სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეშირ შემთხვევაში სხვადასხვა ქვეყანაში MTB შემოვიდა მაშინ, როცა სახელმწიფო ფინანსებს პქნონდათ მწვავე პრობლემები. თუმცა კარგად შედგენილი და დასაბუთებული წლიური ბიუჯეტი თითქმის ყველგან იყო ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმის შედეგად მიღწეული წარმატების საფუძველი. ამასთან, კარგი შედეგების მისაღებად მოითხოვება გარკვეული პირობების ერთდღოული დაცვა. ეს პირობებია: ძლიერი ფინანსობა სამინისტრო ძლიერ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ძლიერი პარლამენტი ძლიერ მთავრობასთან ერთად. ასევე საჯარო ფინანსების ხარჯვის ძლიერი დამოუკიდებელი მაკონტროლებული ორგანოები (მაგ., კონტროლის პალატა ან სხვადასხვა ქვეყანაში სხვა ანალოგიური ფუნქციის მქონე ინსტიტუტი). სხვა ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ ამ რგოლებიდან ერთ-ერთის სისუსტის შემთხვევაში ვერ ხერხდება სასურველი შედეგების მიღწევა.

ძირითად რეკომენდაციებად ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის რეფორმის წარმატებით განხორციელების მიზნით შეიძლება მიჩნეული იქნეს: წლიური და საშუალოვადიანი ბიუჯეტების განცალკევებულობისა და მათ შორის სუსტი კავშირის არსებობის დაუშევებლობა; მქიდრო თანამშრომლობა ფინანსთა სამინისტროსა და დარგობრივ სამინისტროებს შორის, რომელშიც საბიუჯეტო პროცესის მართვა ფინანსთა სამინისტრომ უნდა მოახდინოს; ფინანსთა სამინისტროს ასუხისმგებლობა მაკრო-ფისკალური ჩარჩოს შემუშავებაზე; დარგობრივი სამინისტროების მიერ თავიანთ პროგრამებზე წინასწარი შეფასებების მომზადება, რამდენადაც ფინანსთა სამინისტროს შეუძლია მხოლოდ დახმარებისა და მხარდამჭერის როლის შესრულება; საშუალოვადიანი ბიუჯეტის შედგენამდე რეალური წლიური ბიუჯეტის შედეგენა; ცუდი წლიური ბიუჯეტიდან ბიუჯეტის კარგ საშუალოვადიან დაგეგმვაზე გადასვლის შეუძლებლობა; სტრუქტურიზებული და დროში ზუსტად გაწერილი საბიუჯეტო

ბანკების საქმიანობის კრებითი შეფასება ხორცილდება თითოეული ფუნქციონალური ერთეულის და საქმიანობის სახის მიხედვით გაანგარიშებული საშუალო შეწონილის საფუძველზე და განისაზღვრება მთლიანობაში საკრედიტო დაწესებულების აგრეგირებული ქელა. საშუალო მაჩვენებელების გაანგარიშება ხორციელდება ავტომატურად მათემატიკური ალგორითმის მეშვეობით, ამასთან, საზედამხედველო ორგანოს სპეციალისტს შეუძლია შეიტანოს თავისი კორექტოვები გაანგარიშების ან განხოვადების ნებისმიერ სტადიაზე. აგრეგირებული შეფასება საშუალებას იძლევა განისაზღვროს საკრედიტო დაწესებულებაში არსებული პრობლემების დონე და ამ ბანკისათვის საზედამხედველო ღონისძიებების გატარების აუცილებლობა ნიდერლანდების ბანკის მხრიდან.

ინგლისის ბანკის მიერ კომერციული ბანკების შეფასება ხორციელდება 1997 წელს დანერგილი კომერციული ბანკების რისკების შეფასებისადმი მიღებობის ფარგლებში, რომელსაც ეწოდება RATE (The Risk Assessment, Tools (of supervision) and Evaluation). იგი გულისხმობს ზედამხედველობის პროცესის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი ფაზების განხორციელებას – რისკების შეფასება, ზედამხედველობის ინსტრუმენტების, საზედამხედველო ღონისძიებების გამოყენების აუდეტურიბა. ყველა ფაზა ერთიანდება “საზედამხედველო პერიოდში”, რომელიც რისკების და მათი მართვის უნარის გათვალისწინებით გრძელდება 6 თვიდან (ბანკებისათვის, რომელიც გააჩნიათ სერიოზული პრობლემები, დაკავშირებული მაღალ რისკებთან და მათი შეფასებისა და მენეჯმენტის დაბალ დონესთან) 3 წლამდე (სტაბილური და ფინანსურად მდგრადი ბანკებისათვის, რომელთა რისკები დაბალი დონისაა, ხოლო მენეჯმენტი კი მაღალ დონეზე).

საქართველოში საბანკო მონიტორინგის მნიშვნელოვანი ნაწილი ხორცილდება კოეფიციენტური ანალიზის გზით CAEL და CAMEL გამოყენებით. სამწუხაოდ, იმის გამო, რომ ოფიციალური საბანკო ანგარიშგების სიზუსტე დაბალია, ამ სისტემების საიმედოობა საკმაოდ საეჭვოა. მიუხედავად ამისა, მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც საგანგაშო სიგნალების გენერატორი და როგორც ადგილზე შემოწმების მნიშვნელოვანი ინდიკატორი.

უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო დაწესებულების კოეფიციენტური ანალიზისას წარმოიქმნება არსებითი ხასიათის პრობლემა: სხვადასხვა სპეციალიზაციისა და ინდივიდუალური სპეციფიკის მქონე ბანკებისათვის ცალკეული კოეფიციენტის ხორმალური დიაპაზონები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ამიტომ ასეთი ანალიზის შედეგები ბანკების მოედი ერთობლიობისათვის არ იქნება საკმარისად ზუსტი. ამ პრობლემის ყველაზე ცხადი და პრაქტიკაში ხშირად გამოყენებადი მეორედი ბანკების დაყოფა ერთგვაროვან ჯგუფებად ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმის საფუძველზე. მათ შორის ყველაზე ცხობილია: აქტივების სიდიდე, საბანკო ინდუსტრიის სეგმენტი, ტერიტორიული ადგილმდებარება.

ზემოთ აღწერილი თითოეული შეთოდიკა მიმართულია ბანკის მიმდინარე მდგომარეობის დიაგნოსტირებისათვის მისი საქმიანობისა და ოპერატორების ანგარიშების ანალიზის საშუალებით. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ბანკის მდგომარეობის შეფასება მომავალში, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს საგანგაშო სიგნალების გენერირება ჯერ კიდევ იმ მომენტისათვის, როდესაც იგი ღებულობს კრიტიკულ მნიშვნელობას. ასეთი ინფორმაციის არსებობისას შესაძლებელია შესაბამისი ოპერატორის დონისმიერების განხორციელება სიტუაციის გასაუმჯობესებლად ან შესაძლო დანაკარგების თავიდან აცილება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Bleier M. E. The Federal Reserve Board's New Rating System For Bank Holding Companies and Financial Holding Companies. The Federal Reserve Board's New Rating system, vol. 26, 2007.
2. Cole R.A., Cornyn B.G., Gunter J.W. FIMS: A New Monitoring System for Banking Institutions. – Federal Reserve Bulletin, 1995, Jan., pp. 1–15
3. Federal Reserve Bank of Dallas, Letter to The Chief Executive Officer of each financial institution and others concerned in the Eleventh Federal Reserve District, Subject:Federal Banking Agencies Issue Advisory on Confidentiality of Supervisory Ratings, March 14, 2005.
4. Memmel Ch., Stein I. The Deutsche Bundesbank's Prudential Database (BAKIS) Schmollers Jahrbuch 128, Duncker & Humblot, Berlin, 2008, pp. 321 – 328.
5. NCUA Letter to Credit Unions, December 1994. <http://www.ncua.gov/letters/Prior1996/E-LET161.html>
6. Sahajwala R., Van den Bergh P. Supervisory Risk Assessment and Early Warning Systems. – Basel Committee on Banking Supervision Working Papers, Dec., 2000, № 4.
7. Schmieder Ch. The Deutsche Bundesbank's large credit data base (BAKIS-M and MiMiK), in: Schmollers Jahrbuch 126 (4), 2006, pp. 653 – 663.
8. Севриновский В. Коэффициентный анализ финансового состояния банков. Проблемы и перспективы – RS-Club, 2000, № 2/21/, с. 42—46.

*Lia Eliava  
Doctoral Candidate at the Sukhumi State University*

## MODERN APPROACHES TO THE PREDICTION OF BANKING CRISES

### Summary

Regular monitoring of the banking sector is an important factor predicting the onset of a banking crisis. For this purpose in the world has developed special methods and models - check banks locally and bank rating systems. These methods basically similar for all countries, though they have specifics of the local banking supervision. In addition, in the world is widely used coefficient analysis of the banking sector, which takes into account the change in one factor influenced the other.

In Georgia Banking Supervision practice coefficient analysis is limited, although widely used rating system assessment of banks, which are the only criteria for predicting the development of the banking sector. On the basis of international practice, it is desirable to more widespread use of international best practices of banking supervision by the National Bank of Georgia.

**თამარ ბაჩიაშვილი**

თავობ გოგებაშვილის სახელობის ოულავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

**საბაზო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობის პროგლემა და  
სრულადური ფაქტორი**

თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტი მოიცვა. 1991 წელს ენტონი გიდერსი წერდა: „ჩვენ დღეს ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელიც ხასიათ-დება გამაონებელი სოციალური ცვლილებებით, რომელიც რადიკალურად განსხვავდება წინა პერიოდებისათვის დამასხასიათებელი ცვლილებებისაგან. საბჭოთა სტილის სოციალიზმის კოლაფსი, ძალაუფლების ბიპოდარული განაწილების პრობლემა, სულ უფრო და უფრო ძლიერი გლობალური საკომუნიკაციო სისტემების ფორმირება, მსოფლიოში კაპიტალიზმის ცხადი ტრიუმფი, მაშინ, როდესაც მსოფლიოს გლობალური გადანაწილება სულ უფრო და უფრო მწვავდება” [1, გვ.5].

ჩვენ ვთვლით, რომ დღეს ბევრს საუბრობენ ეკონომიკური, კულტურული და ადმინისტრაციული ბარიერების მოშლასა და ერთიანი მსოფლიო საზოგადოების შექმნაზე. გლობალიზაციის პროცესმა განაპირობა „ბაზრების, რესურსების, კაპიტალის, მუშა ძალის თავმოყრა ერთიან მსოფლიო საგაჭრო სისტემაში, რომელიც გამყარებულია საკომუნიკაციო საშუალებების მზარდი განვითარებითა და გლობალური კონტროლის სისტემით” [1, გვ.65].

როგორც გლობალიზაციის თანამედროვე კვლევები გვიჩვენებს, რაც უფრო მეტად არიან ჩართული ესა თუ ის ქვეყნები გლობალიზაციის პროცესებში, მით უფრო აქტიურად მისდევენ ისინი ისეთ პოლიტიკას, რომელსაც მოსდევს ეკონომიკის უფრო სწრაფი ზრდა, ინფლაციის დაბალი დონე და ეკონომიკური თავისუფლება.

არსებობს თეორიათა გარკვეული კატეგორია, რომლებიც მიუთითებენ სოციალურ სამყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მაგალითად, ბურდიე მიიჩნევს, რომ მოხდა ეკონომიკური ტიპის კაპიტალის ჩანაცვლება კულტურული კაპიტალით, ბოდრიარის მიხედვით, წარმოება და კვლავწარმოება მხოლოდ სიმბოლურ აქტს წარმოადგენს და გაბატონებულ პოზიციებს იკავებს სიმულაციური წარმოება. თუკი იგი მიიჩნევს, რომ წარმოების ფორმებს დისკურსიული ფორმაციები ანაცვლებენ და ა.შ., ზემოადნიშნული ყველა თეორია გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ აბსოლუტურად განსხვავებულ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომელსაც განსხვავებული ტრიუმფით გამოსახავენ. მაგალითად: „პოსტინდუსტრიული”, „პოსტმოდერნული”, „პოსტკომუნისტური” და ა.შ.

ჩვენი აზრით, თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ის, რომ მოხდა ეკონომიკური კაპიტალის ჩანაცვლება ადამიანური კაპიტალით. სწორედ ადამიანური კაპიტალი გახდა თანამედროვე გლობალურ სამყაროში დომინანტური ძალა.

ამერიკელი სოციოლოგის – ო. ტოფლერის აზრით, „საზოგადოება შევიდა „სუპერინდუსტრიულ ეპოქაში”, სადაც წამყვან როლს ასრულებს ეკონომიკის მესამეული სექტორი – მომსახურების სფერო” [2, გვ.287].

თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც აბსოლუტურად განსხვავებულ დირექტების მიზანით, ვიდრე რამოდენიმე ათეული წლის წინ, წამყვან პოზიციებს იკავებს ისეთი დარგები, როგორიცაა სადაზღვევო მომსახურება, სამედიცინო მომსახურება, ინჟინერინგი და ა.შ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია მომავალში მოხდეს მომსახურების სრულიად ახალი, არაორდინალური ურთიერთობების ჩამოყალიბება, როგორც ულრის ბეჭი აღნიშნავს, „ახალი ჩამოყალიბებული ურთიერთობები და სოციალური ქსელები ახდა უნდა აირჩიო ინდივიდუალურად. სოციალური კავშირებიც, ასევე, რეფლექსური ხდება, ასე რომ, ისინი შეიძლება დამყარდეს, შენარჩუნდეს და მუდმივად განახლდეს ინდივიდების მიერ” [1. გვ. 14].

საგულისხმოა შემდეგი გარემოება: სწორედ დასავლეთში დაწყებულმა ინდივიდუალიზაციის პროცესმა განაპირობა ის, რომ ადამიანები სულ უფრო მეტად თავისუფლდებიან სტრუქტურული შეზღუდვებისაგან და აქედან გამომდინარე მათ თავისუფლად შეუძლიათ აიწყონ არა მარტო საკუთარი ცხოვრება, არამედ ის საზოგადოებებიც, რომლებშიც მათ უწევთ ცხოვრება.

თანამედროვე ეტაპზე, გლობალურ სამყაროში, მილიონბით ადამიანი ერთიანდება Second Life-ისა და There.com-ის მსგავს ვირტუალურ სამყაროებში და ქმნის კიბერ-ორგაულებს, რომელთა საშუალებითაც ურთიერთობას, ეძებს ან მართავს თავის საქმიანობას. შეიძლება ითქვას, რომ ვირტუალური სამყაროები უკვე ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებენ არა მხოლოდ საზოგადოებრივ, არამედ ბიზნესსაქმიანობაში. მასში უამრავი ადამიანია ჩართული, რომელთაც სხვებთან ურთიერთობის სურვილი ხიბლავთ. ეს გასაკვირი არცაა. ადამიანი ხომ სოციალური არსებაა, რომლიც დამოკიდებულია სხვა ადამიანთა ქმედებებსა თუ ექსპრესიაზე, თუგინდ ეს სხვები ვირტუალური ორგელები იყვნენ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მომავალში ორგელებს, ალბათ, საჭიროებისამებრ მოვირგებთ – როგორც დღეს ვირჩევთ საკომუნიკაციო საშუალებებს (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვიდეო-კონფერენცია და ა.შ.).

მომსახურების ასეთი ფორმირების ჩამოყალიბება თანამედროვე გლობალურ სამყაროში ნონსენსს არ წარმოადგენს, ვინაიდან მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომელზეც ალბათ მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული პირები რიგში განაპირობა საზოგადოებაში სოციალური ინფორმაციის დაქარებამ, ცხოვრებაში ახალი სოციალური იდეებისა და ფასეულობების სწრაფად განხორციელების აუცილებლობამ.

თანამედროვე საზოგადოებაში ნაკლებად მოიძენება ისეთი ადამიანი, რომელიც არ ესწრაფების ცვლილებებს – ცვლილებებს სოციალურ და ეკონომიკურ სისტემაში, ცხოვრების წესში და ა.შ. სახელმწიფო ყოველთვის ეძებს ახალ ბერკეტებს სოციალური განვითარების მსვლელობაზე ზემოქმედებისათვის. საბაზრო საწყისებზე დამყარებულ საზოგადოებაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარება წარმოადგენს სწორედ იმ ძირითად ბერკეტს, რომელიც ხელს უწყობს საბაზრო ურთიერთობის ეკონომიკურ ეფექტიანობას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სოციალური ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. ცხადია, რომ ძნელია საზოგადოებრივ მოვლენათა მთელი მრავალსახეობის დინამიკის დაფიქსირება, მაგრამ აუცილებელია სოციალური პრობლემების დეტალური შესწავლა და მათი გარკვეული იერარქიის შექმნა სიმწვავის და მნიშვნელობის მიხედვით, ვინაიდან ნებისმიერი მოვლენა, რომელიც უკავშირდება ეკონომიკურ სტრუქტურას, უმუშევრობის დონეს, ფასებს, ხელფასების საშუალო დონეს და ა.შ., გარდაუვალად აისახება ინდივიდთა ინტერესებსა და მოთხოვნილებებში. „დისკრეციული შემოსავლების ზრდასთან ერთად, მომხმარებლის გემოვნების, დამოკიდებულების როლი და მნიშვნელობა წარმოების პროცესთან მიმართებაში შეიცვალა. მყიდველი ბაზარზე არსებული პროდუქციის უბრალო, პასიური მომხმარებლიდან გადაიქცა ეკონომიკური პროცესების ფაქტორად და მისი

გემოვნება და მოთხოვნები, ფაქტობრივად, გახდა საინვესტიციო საქმიანობის ერთ-ერთი გადამწყვეტი მონაწილე” [3, გვ.248].

აღნიშნულიდან გამომდინარ, ჩვენ ვთვლით, რომ, ცხადია, მოთხოვნა და-მოკიდებულია ისეთ ეკონომიკურ ცვლადებზე, როგორიცაა, მაგალითად: ინფ-ლაციის დონე, შემოსავლების დინამიკა, განათლება, სამუშაო საათების შემცირება და სამუშაო საათების გაზრდა, მაგრამ ამავე დროს, მოხმარების სტილზე ზეგავლენას ახდენს ისეთი სოციალური ფაქტორები, როგორიცაა, კერძოდ, სო-ციალური მობილობის დინამიკა, ურბანიზაციის პროცესები, ქალთა ჩართულობა შრომის ბაზარზე. მართალია, ამ პროცესებს თავისი ეკონომიკური მიზეზები და შედეგები გააჩნია, მაგრამ ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია სწორედ სა-ზოგადოების კულტურულ დირექტულებებსა და ტრადიციებზე.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნოთ, რომ სწორედ სოციალური ფაქტორის გავლენის ამაღლება საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, აბსოლუტურად განსხვავებული კუთხით წარმოაჩენს ყველა იმ ეკონომიკურ პრობლემატიკას, რომელთა განხილვა მხოლოდ „ერთი ფანჯრის პრინციპით” მიმდინარეობდა და უკანა პლანზე ტოვებდა იმ სოციალურ ფაქტო-რებს, რომლებიც გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლი-ტიკურ პროცესებზე და, მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეკონო-მიკური, პოლიტიკური და სოციალური პროცესების ერთმანეთთან ურთიერთ-გაგშირი შეუძლებელს ხდის მხოლოდ მათ ცალ-ცალკე, დიფერენცირებულად განხილვასა და ანალიზს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. თევზაბე გ. ინსტიტუციონალური ცვლილებების სოციოლოგია. თბილისი: „მეცნიერება”, 2002.
2. ეკონომიკური თეორია. გ.ადეიშვილისა და რ.ასათიანის რედაქციით. თბილისი: საგამომცემლო ფირმა „სიახლე”, 1998.
3. მეზვრიშვილი ლ. ეკონომიკური სოციოლოგია. თბილისი: „მეცნიერება”, 2003.

*Tamar Bachiašvili  
Doctorant of Jacob Gogebashvili State University of Telavi*

## THE PROBLEM OF ECONOMIC EFFECTIVENESS OF THE MARKET RELATIONS AND THE SOCIAL FACTOR

### Summary

A scientific article is about the problem of economic effectiveness of market relations and the influence of the social factor on it.

The article analyses the main dominant force of the modern global world – the human capital, and those newly formed interrelations and social networks, which represent the leading force on society and state level.

**თამარ ბაჩიაშვილი**

თავობ გოგებაშვილის სახელობის თულავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

**საბაზრო ეკონომიკის ორიენტაციის პრობლემა და სოციალური  
ზარტორი**

საბაზრო ეკონომიკის ორიენტაციის პრობლემა თანამედროვე გლობალურ სამყაროში განსაკუთრებული აქტუალურობით გამოირჩევა.

თანამედროვე პირობებში, როდესაც საზოგადოებრივი განვითარება მიღის ინტენსიური ეკონომიკის მიმართულებით, ადამიანური კაპიტალი ერთ-ერთი წარმართველი ძალა ხდება, ვინაიდან ცოდნა წარმოადგენს უმთავრეს რესურსს და მისი როლი სიმდიდრის შექმნაში განუსაზღვრელად იზრდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგაჩნია, რომ სწორედ ცოდნაა ჩვენი ეკონომიკური და სოციალური გარემოცვის სწრაფად ცვალებადი კომპონენტი. „ეს არის, – როგორც პროფესორი ამირან ბერძანიშვილი ამაზე უკრადებას, – მომავალი საზოგადოებისათვის ინფორმაციის ანუ ცოდნის მნიშვნელობის გაცნობიერება. ჩვენი ცხოვრების წესს, რომელიც ადრე ემჟარებოდა მატერიალურ წარმოებას და მიჯაჭვული იყო მანქანებსა და დარგებს, ცვლის ახალი წესი, რომლის საწარმოო სისტემის საფუძველი – ინფორმაციაა” [1, გვ. 259].

ძირითადად ეფთანხმები რა ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, ამავე დროს მიმაჩნია, რომ მიუხედავად ინფორმაციის როლის ზრდისა, მატერიალური წარმოებისადმი დამოკიდებულება არ უნდა შეიცვალოს.

უფილ სსრ კავშირში არსებულმა კვლავწარმოების ანტისაბაზრო მოდელმა, ჩვენი აზრით, გამოიწვია ადამიანური და ბუნებრივი რესურსების შემცირება და, საბოლოო ჯამში, კვლავწარმოების ტემპების შენება და კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობის მოსპობა.

უოველივე აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ მოცემული ანტისაბაზრო მოდელი არ აღიარებდა ადამიანური რესურსების დომინანტურობას ეკონომიკურ პროცესებზე და არ იყო სოციალური ორიენტირებული.

საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრობლემასთან დაკავშირებით სრულიად სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ანზორ კურატაშვილი, რომ „სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა – არის ეკონომიკა, რომლის არსი განისაზღვრება მისი, როგორც საბაზრო ეკონომიკის, მოგებისადმი სწრაფვის პარალელურად სოციალური პრობლემების გადაჭრაზე ორიენტაციით, უფრო ზუსტად კი – სოციალური ორიენტაციით, რადგან რეალურად ეკონომიკურად ეფექტიანი ეკონომიკის და ამავე დროს სოციალური ორიენტაციის მქონე ეკონომიკის პირობებში სოციალური პრობლემების არსებობის აღბათობა ძალიან დაბალია” [2, გვ. 12].

შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ზემოთ აღნიშნულ მეცნიერულად დასაბუთებულ აზრს, ვინაიდან სწორედ სოციალური ორიენტაციის მქონე ეკონომიკის პირობებში შეიძლება იმ პრობლემათა გადაჭრაზე ყურადღების გამახვილება, რომელიც სოციალურ სფეროს მიეკუთვნება და ადამიანური ფაქტორის დომინანტურობის აღიარება, რადგან მხოლოდ ვიწრო ეკონომიკური კონტექსტიდან გამომდინარე, შეუძლებელია სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანი ფუნქციონირება.

სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც ცნობილია, ერთიანი პოლიტიკის ორი განუყოფელი ნაწილს წარმოადგენს. განვითარებულ ქვეყნებში სოციალური პოლიტიკის შემუშავება სცილდება მხოლოდ სოციალური ადმი-

ნისტრაციის ინსტიტუტების კომპეტენციას და ინტეგრირებულია ეკონომიკურ სფეროსა და სხვა ინსტიტუტთა პოლიტიკასთან.

ცხადია, რომ მხოლოდ სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების შემთხვევაშია შესაძლებელი სოციალურ პრობლემათა არსებობის დაბალი დონის შენარჩუნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხალხის ინტერესები, ადამიანური რესურსები და მასთან დაკავშირებული პრობლემები უნდა იყოს პრიორიტეტული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას, ვინაიდან, როგორც პროფესორი აზოვო კურატაშვილი აღნიშნავს: “სოციალურად ორიგნტირებული საბაზრო ეკონომიკა არის ისეთი საბაზრო ეკონომიკური სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია, ერთი მხრივ, წმინდა ეკონომიკური მიმართულება, ანუ მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ სწრაფვა, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური ორიგნტაცია, ანუ ორიგნტაცია ადამიანის – ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე” [3, გვ. 31-32].

თანამედროვე საზოგადოებაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, მათ შორის, სოციალური მნიშვნელობის ზრდამ წარმოების პარალელურად – მომსახურებისაკენ, სოციალური ფაქტორის მოქმედების ახალი ფორმების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. წარმოიშვა ისეთი სახის პროფესიები, რომლებიც წარმოებასთან პირდაპირ არ არის დაკავშირებული, თუმცა წარმოების განვითარებისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ცვლილებები განხორციელდა ტექნოლოგიაში – გაჩნდა ახალი „ინტელექტუალური ტექნოლოგიები“, რომელთა საჭიროება ინფორმაციის გაცვლისა და წარმოების პროცესში სულ უფრო მეტად აუცილებელი გახდა.

ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა, ჩვენი აზრით, ასახვა პპოვა როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ დონეზე და სწორედ სოციალური ცხოვრების რაციონალიზაციამ განაპირობა ზემოთ ჩამოყალიბებული მოთხოვნები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება წარმოადგენს პრიორიტეტს ყველა იმ ქვენისათვის, რომლებიც ცდილობენ რეფორმები განახორციელონ ამ მიმართულებით.

“საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი ქვეყნების უმრავლესობამ გამოხატა ეს თავიანთ კონსტიტუციებში, რითაც აღიარეს ეკონომიკის სოციალური ორიგნტაცია, რომლის მიზანია ყველა მოქალაქის ცხოვრებისა და კეთილდღეობის სათანადო, მაღალი დონის უზრუნველყოფა” [4, გვ. 76].

ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფა, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ნებისმიერი ტიპის სახელმწიფოს პრიორიტეტს, მაგრამ არსებობს პრობლემათა გარკვეული კატეგორია, რომელიც დროულ ჩარჩვას საჭიროებს, რათა არ მოხდეს მისი უკიდურესი გამწვავება, რაც საბოლოოდ სახელმწიფო პოლიტიკას კატასტროფამდე მიიყვანს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა სიდარიბე, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული უკონომიკური განვითარების დონესთან, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის იარსებებს, მაგრამ იცვლება მხოლოდ მისი გამოვლენის ფორმები.

ცნობილია, რომ გამოყოფენ სიღარიბისადმი, როგორც სოციალური პრობლემისადმი, სამ ძირითად მიღებმას:

1. ფუნქციონალისტებისათვის სიღარიბე მაშინ ხდება პრობლემა, როდესაც კარგავს თავის მოტივაციურ ფუნქციას ეფექტიანი საქმიანობის მიმართ.

როდის შეიძლება მოხდეს ეს?

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სისტემა ვერ აწარმოებს ყველა იმ ინდივიდისათვის წახალისების ადგენერატური სისტემის შექმნას, რომელიც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებს.

2. კონფლიქტის თეორიის მიხედვით, სიდარიბე სოციალური პრობლემა მაშინ ხდება, როდესაც ერთი სოციალური ჯგუფი თვლის, რომ არსებული სისტემა უსამართლოა და ამის გამო საზოგადოებაში რაღაც უნდა შეიცვალოს.

3. სიმბოლური ინტერაქტიონიზმისათვის სიდარიბე სოციალური სტიგმის პრობლემაა.

მოცემული საკითხის ირგვლივ ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ დარიბები სხვა ფენებისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ ემოციურად და ინტელექტუალურად.

სხვადასხვა მიღეოდის ფარგლებში სიდარიბე ითვლება ან დამოკიდებულ, ან დამოუკიდებელ ცვლადად.

როდესაც სიდარიბე აღებულია როგორც დამოკიდებული ცვლადი, ამ შემთხვევაში ცდილობები დაადგინონ, რომ დარიბი, როგორც ფსიქოლოგიური ფენები არის მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგრმარეობის შედეგი.

როდესაც სიდარიბე დამოუკიდებელ ცვლადად ითვლება, მაშინ იკვლევენ, რომელ ქცევით ცვლადებს „შეაქვთ წვლილი“ ინდივიდის დარიბად არსებობაში.

მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებული სიდარიბის განსაზღვრების მიხედვით: „დარიბებს მიეკუთვნებიან პირები, რომლებიც თბილ ქვეყნებში დღეში დოლარზე ნაკლებს ხარჯავენ, ხოლო ჩრდილოეთის ქვეყნებში მსოფლიო ბანკის რეპომენდაციის თანახმად, სიდარიბის ერთ დოლარიანი ზღვარის ეკვივალენტად ითვლება სიდარიბის ზღვარი დღეში 2,15 დოლარის დონეზე, რამდენადაც ციფრი ბუნებრივი კლიმატური პირობები მოითხოვს დამატებით ხარჯებს გათბობის, ზამთრის ტანსაცმლისა და კვებისათვის“ [4, გვ.78].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა, მასობრივი უმუშევრობა და სიდარიბე იწვევს დამანგრეველ შედეგებს და ის წარმოადგენს იმ მაკროეკონომიკურ პრობლემას, რომელსაც სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს შორის ცენტრალური ადგილი უკავია.

როგორც მოცემული მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, სიდარიბე და უმუშევრობა ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცვლადია, მაგრამ ამავე დროს უმუშევრობა იწვევს გაცილებით უფრო დამანგრეველ პიროვნულ აპათიას და დეზინტეგრაციას, ვიდრე პოლიტიკური არეულობა და ორგანიზებული რევოლუცია.

საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტს და ამასთან ერთად აუცილებელია შემუშავებული იქნას ისეთი ტიპის სოციალური პროგრამები, რომლებიც გარკვეულწილად შეამცირებენ სიდარიბისა და უმუშევრობის ზრდას. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმნიერი ქმედება მხოლოდ თეორიული კონსტრუქციის სახით დარჩება და სტაგნაციური პროცესების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბერძნიშვილი ა.** პოლიტიკური სოციოლოგია. თბილისი: გამოცემლობა „მერიდიანი“, 2000.
2. **კურატაშვილი ა.** სოციალური საბაზრო ეკონომიკა თუ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა (?!). საზოგადოებისა და სახელმწიფოს

- მართვის პრობლემები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (13-14.06.2011). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი”, 2011.
3. კურატაშვილი ა. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა და სამართლებრივი ფაქტორის გავლენა მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე (მონოგრაფია). თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი”, 2008.
4. ბახტაძე ლ. გარდამავალი ხანის ეკონომიკა. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა სერია, 2006.

**Tamar Bachishvili**  
*Doctorant of Jacob Gogebashvilistate University of Telavi*

### **THE ORIENTATION PROBLEM OF MARKET ECONOMY AND THE SOCIAL FACTOR**

#### **Summary**

A scientific article is about the orientation problem of market economy and the social factor.

The article analyses the fact that to confess the domination of human factor and focus on solving the social problems is only possible in the conditions of socially oriented market economy.

**სტატისტიკური კვლევის მეთოდები**

**რამაზ აბესაძე  
გორგი უჯგარაძე**

**პრაქტიკული კვლევების პროგრამული უზრუნველყოფა: SPSS -  
სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის**

სოციალური მეცნიერებებისათვის დამახასიათებელია მჭიდრო კავშირი თეორიასა და ემპირიულ კვლევებს შორის. საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტის შესწავლის მიზნით, მეცნიერები რეგულარულად ატარებენ ემპირიულ კვლევებს, რათა შეამოწმონ ესა თუ ის თეორიული მოსაზრება; ამ კვლევების შედეგები ხშირად იწვევს არსებული თეორიების გადასინჯვასა და დახვეწას, ზოგჯერ კი – ძველი თეორიის უარყოფასა და ახლის წარმოშობას. მაგალითად, სოციალური მკვლევრები ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შეისწავლიდნენ სიდარიბესა და მის გამომწვევ მიზეზებს; ამ კვლევების შედეგად შეიქმნა სიდარიბის კლასიკური თეორიები. მაგრამ XX საუკუნის 60-იან წლებში აშშ-ში სიდარიბის სპეციფიკური ფორმების ემპირიული შედეგები მოხდა ამ თეორიების გადასინჯვა და შეიქმნა “ქვეკლასის” თეორია, რომელიც კლასიკური თეორიების ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი.

ემპირიული სოციალური კვლევები მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის გამდიდრების თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკულ დონეზეც, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებ არსებული ცოდნის გადრმავებისა და სახელმწიფო მართვის ოპტიმიზაციის მიმართულებით. ასეთ შემთხვევებში საუბარია ე.წ. გამოყენებითი კვლევების შესახებ, რომლებიც შეისწავლის საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა: არაფორმალური ურთიერთობები ფორმალურ ორგანიზაციებში; კორუფციის გავრცელების ხელის შემწყობი ფაქტორები, სიდარიბის მიზეზები და სხვა. გამოყენებითი სოციალური კვლევების შედეგები შეიძლებელია გახდეს გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი სახელმწიფო მართვის ან არა-სამთავრობო თვითმმართველობის დონეზე. გამოყენებით სოციალურ კვლევებში მნიშვნელოვანია მონაცემთა დიდი მასივების დამუშავება, რათა კვლევის შედეგები მთელი საზოგადოების მასშტაბით იყოს გალიდური. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და პროგრამული პაკეტების გამოყენებით.

ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტი არის SPSS პროგრამა (Statistical Package for the Social Sciences-სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის), რომელიც გამოიყენება სოციალურ მეცნიერებებში მონაცემების დამუშავებისა და ანალიზისასთვის. მონაცემთა ანალიზი მოიცავს როგორც რაოდენობრივ სტატისტიკურ, ისე თვისებრივი და ტექსტური მონაცემების ანალიზს. 2009 წლიდან პროგრამა SPSS შეისყიდა IBM-ის კორპორაციამ და უკვე 2010 წლიდან „SPSS: An IBM Company“ პროგრამად იწოდება. ამჟამად IBM SPSS სრულადაა ინტერგირებული კომპანია IBM-ის სხვა ბიზნეს-ანალიტიკურ პროგრამებთან.

SPSS-ის პირველი ვერსია შეიქმნა 1968 წელს ნორმან ნაის და პალდაი ჰუნის მიერ. ნორმან ნაი ამჟამად სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევარი პროფესორი და ჩიკაგოს უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორია.

SPSS ყველაზე ფართოდ გამოიყენებადი პროგრამაა სოციალურ კვლევებში. იგი გამოიყენება: მარკეტინგული და ეკონომიკური, ასევე ჯანდაცვის სისტემების

კვლევების დროს სხვადასხვა კვლევითი კომპანიების, საგანმანათლებლო და სამ-თავრობო ორგანიზაციების მიერ.

პაკეტის თანამედროვე ვერსიებს აქვს გრაფიკული ფანჯრიანი ინტერფეისი და მენიუს სისტემა, რაც იძლევა მონაცემთა გარდაქმნის ძირითად ფუნქციებთან და გამოთვლით პროცედურებთან მიღწევის საშუალებას. პაკეტთან მუშაობის მაღალი ეფექტი მიიღწევა მასში ჩაშენებული პროგრამირების შესაძლებლობის აქტიურად გამოყენებით. SPSS-ს პროგრამული პროდუქტები შესაძლებლობას იძლევა, ოპერატიულად მივიღოთ ანალიტიკური ინფორმაცია, თვალსაჩინოდ წარ-მოვადგინოთ, ასევე გაგაფრცელოთ და დაგნერგოთ მიღებული შედეგები. ეს კი შესაძლებელს ხდის, ვიპოვოთ მონაცემთა საკვანძო ფაქტორები, ურთიერთკავში-რები და ტენდენციები და თანადროულად მივიღოთ ოპტიმალური გადაწყვე-ტილებები,

სპეციალისტების აზრით, SPSS-ს ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავების პროგრამებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს. SPSS პროგრამის გამოყენების უპირატესობა აშკარაა. მისი ინტერფეისი ნებისმიერი დონის მომხმარებლისათვის ინტუიციურადაც გასაგებია. ამასთან, სტატისტიკური განათლება არ არის აუცი-ლებელი. მარტივი მენიუ და დიალოგები რთული სტატისტიკური ანალიზის რამდე-ნიმე წუთში ჩატარების შესაძლებლობას იძლევა. მარკეტინგული ანალიზისათვის საჭირო მეთოდების გარკვეული ნაწილი მხოლოდ SPSS პროგრამას გააჩნია და არ გამოიყენება სხვა სტატისტიკურ პაკეტებში.

SPSS-ის პირველი სახელმძღვანელო (Nie, Bent & Hull, 1970<sup>3</sup>) მიჩნეულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ნაშრომი სოციოლოგიაში<sup>4</sup>.

SPSS-ის პოგრამულ პაკეტში გამოყენებულია შემდგარი ძირითადი სტატისტი-კური ფუნქციები: **ალტირითი სტატისტიკა**, რომელიც თავისთავად მოიცავს შემდეგ ფუნქციებს: სისშირეებს, კროს ტაბულაციას და ალტირითი სტატისტიკის სხვა საბაზისო ინდიკატორებს; **ბივარიანტული სტატისტიკა** (საშაულოები, t-ტესტი, კორელაცია, არაპარამეტრული ტესტები, ANOVA); **რაოდენობრივი მონაცემების პროგნოზირება** (წრფივი რეგრესია); **პროგნოზირება მონაცემთა ჯგუფებისათვის** (ფაქტორული ანალიზი, კლასტერული ანალიზი).

SPSS-ი ასევე იძლევა გამოკვლევების ქმპირულ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების, მონაცემთა ბაზის ფორმირებისა და მათი მოდიფიკაციის, ასევე ეგრეთ წოდებული ანგარიშების შექმნის, სტატისტიკური ანალიზის შედეგთა ტექსტური, ცხრილური და გრაფიკული ფორმით წარმოდგენის ფართო შესაძლებლობებს. SPSS, როგორც სოციალური მეცნიერებების კვლევითი ინსტრუმენტი, გამოიყენება ამერიკის შეერთებული შტატების კოლეჯებისა და უნივერსიტეტების უმრავლესობაში (80 %<sup>5</sup>). ასევე ფართო მისი გამოყენება ევროპის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში.

SPSS-ს ასევე ფართო გამოყენება აქვს იმ სახელმწიფო ორგანიზაციებშიც, რომლებიც დაკავშირებული არიან კვლევით პროცესებთან. სახელმწიფო სტრუქ-ტურებში SPSS-ის გამოყენების მაგალითია ისრაელის განათლების სამინისტრო. სოციოლოგიური კვლევების მონაცემთა დამუშავების ეფექტურობის გაზრდი-სათვის სამინისტრომ თვიციალურად შეისყიდა SPSS-ის გამოყენების უფლება. პროგრამის შესყიდვის შემდეგ სამინისტრო რეგულარულად ატარებს კვლევებს.

<sup>3</sup> SPSS: Statistical Package For the social Sciences, by Norman Nie, Dale H. Bent, and C. Haldai Hull. New York: McGraw-Hill 1970

<sup>4</sup> Wellman, Barry "Doing it ourselves", pp 71-78 in Required Reading: Sociology's Most Influential Books. Edited by Dan Clawson, University of Massachusetts Press, 1998,

<sup>5</sup> <http://public.dhe.ibm.com/common/ssi/ecm/en/yts03002usen/YTS03002USEN.PDF>

განათლების სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ. შეგროვებული მონაცემების ანალიზის გზით მუშავდება საგანმანათლებლო პოლიტიკის მიმართულებები. მთელ ამ პროცესებში, რომელიც გულისხმობს 3800 სკოლისა და 1.5 მილიონი სტუდენტისაგან მიღებული გამოკითხვების შედეგების დაჯგუფებასა და ანალიზს, პროგრამა SPSS-ი არსებით როლს ასრულებს<sup>6</sup>.

საქართველოში, ეკონომიკური და სოციალური კვლევების ხარისხის ამაღლების მიზნით, საჭიროდ გვესახება აღნიშნული პროგრამის სწავლების დაწერგვა უმაღლეს დაწესებულებებში (განსაკუთრებით, სტატისტიკოსებისა და მარკეტინგოგებისათვის), ასევე მისი ფართო გამოყენება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში კვლევების განხორციელების დროს.

პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, შეიქმას ან ითარგმნოს შესაბამისი სახელმძღვანელოები პროგრამის გამოყენების პრაქტიკულ საკითხზე. შემდგომ ამისა საჭიროა შესაბამისი სილაბუსებისა და სასწავლო გეგმების შემუშავება. ამ კუთხით მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Andy Field Discovering Statistics Using SPSS 2<sup>nd</sup> ed. London: Sage 2005;
2. Using SPSS for Social Statistics and Research Methods William E. Wagner 2<sup>nd</sup> ed. Sage Publications 2010;
3. Wellman, Barry "Doing it ourselves", pp 71-78 in *Required Reading: Sociology's Most Influential Books*. Edited by Dan Clawson, University of Massachusetts Press, 1998;
4. Пациорковский В. В., Пациорковская В.В. SPSS для социологов. Учебное пособие. — М.: ИСЭПН РАН, 2005.

<sup>6</sup> <http://cms.education.gov.il>

## რ თ ხ ე ნ ზ ი ა

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვლადიმერ (ლადო) პაპავას წიგნზე „არატრადიციული ეკონომიკის“ (თბილისი, თსუ პატარა გუბუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. 2011. - 391 გვ).**

კომუნისტური სისტემის ნგრევის შემდგომ და საბაზრო ეკონომიკის მოდელზე გადასცვლამ ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დაყენა ბევრი გამოწვევა, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, თუ ეკონომიკური მეცნიერების რომელი კონკრეტული დარგი იქნება მოწოდებული აღწეროს (უპირველეს ყოვლისა თეორიის დონეზე) ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ რა ჩაანაცვალებდა პოლიტიკური ეკონომიის დისციპლინას ზოგადად და სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიას, კერძოდ. ასეთი ჩანაცვლება მოხდა შედარებით სწრაფად ეკონომიკის (Economics) სახით (თუმცა ადრეულ წლებში ხმარობდნენ სხვადასხვა დასახელებას - ეკონომიკური თეორია, ეკონომიკური თეორიის საფუძვლები და სხვ.). აქვე აღვნიშნავთ, რომ ავტორი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-ან წლებში შემოგვთავაზა ტერმინი „თეორიული ეკონომიკა“.

უნდა ითქვას, რომ ტერმინი პოლიტიკური ეკონომია გამოიყენებოდა არა მარტო სოციალისტურ სამყაროში, არამედ დასაცვლელის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში. მაგრამ აუცილებელია მივუთითოთ არსებით განსხვავებაზე ამ ტერმინის ხმარებაში. პირველ შემთხვევაში, პოლიტიკურ ეკონომიას პქნენდა სოციალური ფუნქცია, ხოლო მეორე შემთხვევაში უფრო ეკონომიკური პოლიტიკის, სახელმწიფოს მოწყობის ამსახველ მიმართულებას წარმოადგენდა. რაც შეეხება ეკონომიკს (მისი ტრადიციული გაგებით), იგი მოწოდებულია ახსნას საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კონკრეტული მექანიზმები მაკრო-მიკრო დონეზე.

პროფესორ ვლადიმერ პაპავას წარმოდგენილი მონოგრაფია ამ თვალსაზრისით წარმოადგენს გარკვეულ სიახლეს, რომელიც უკვე წიგნის სათაურიდან სჩანს - „არატრადიციული ეკონომიკის“. შესავალშივე ავტორი პასუხობს შეკითხვას თუ რას გულისხმობს არატრადიციული ეკონომიკის ქვეშ - „არატრადიციული ეკონომიკისათვის ტრადიციულის მსგავსად, შესწავლის ობიექტი და უმთავრესი კითხვები, რაზეც ეკონომისტს უნდა შეეძლოს პასუხების გაცემა, იგივეა. იცვლება ამ კითხვებზე პასუხები. კერძოდ, ამა თუ იმ ეკონომიკურ კითხვაზე არატრადიციული ეკონომიკისიდან რეალობასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე იმავე კითხვაზე პასუხი ტრადიციული ეკონომიკისიდან“ (გვ.16). ჩემ მოსაზრებას, თუ რა შეიძლება დაქმატოს ამ განსაზღვრებას მოგახსენებთ რეცენზიის ბოლოში, ახლა კი მოკლედ იმის შესახებ თუ რა აზრები გამიჩნდა წიგნის წაკითხვის შედეგად.

უპირველეს ყოვლისა, წიგნის შინაარსიდან გამომდინარე აღვნიშვნავთ, რომ მისი არქიტექტონიკა, განხილულ საკითხთა წრე განსხვავდება ტრადიციული ეკონომიკის სახელმძღვანელოს სტრუქტურისაგან. კერძოდ, წიგნში საქმაოდ საინტერესოდ განხილულია ადამიანის როლი ეკონომიკაში, ბაზრის ტიპები, საბაზრო ეკონომიკაზე გადასცვლა, სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, ეკონომიკის ტრანსფორმაციის ინსტიტუტები და სხვა.

არატრადიციული ეკონომიკის შესწავლას ავტორი იწყებს ადამიანის როლის გარკვევით ეკონომიკაში (homo economicus) და გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთ სირთულეთ სწორედ ამ პრობლემას მიიჩნევს, ანუ ის თვლის, რომ პომო soveticus-დან გადასცვლა homo economicus-ზე ძალზედ რთულ პროცესს წარმოადგენს, ვინაიდან მათ შორის ჯერ კიდევ არსებობს homo transformaticus-ი, ანუ

გარდამავალ პერიოდში ადამიანი ჯერ კიდევ არ არის ადაპტირებული საბაზო გარემოს, მას უშლის ხელს გარეგნული სტერეოტიპები, მენტალობა და სხვ. ამ პრობლემის დაძლევა, ჩვენის აზრით, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თუ რა ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას გაატარებს მთავრობა. საქართველოში სამწუხაროდ ეს პოლიტიკა ხასიათდებოდა და ხასიათდება ახლაც არათანმიმდევრობით და ხშირ შემთხვევაში შეცდომებით.

ეკონომიკური როგორც ცნობილია, მეტწილად განიხილება იდეალური ბაზარი კვლევის პროცესის გასაადგილებლად (რაც თავისთავად გასაგებია). მაგრამ რეალობაში საქმე გვაქვს სულ სხვა გარემოებებთან, და ამიტომ ავტორი საკმაოდ დამაჯერებლად იძლევა თავისუფალი, ფსევდორეალური და რეალური ბაზრების განმარტებას. უკანესენელის ქვეშ ის გულისხმობს იმ ბაზარს, რომელიც რეალურად ფუნქციონერებს წამყვან ინდუსტრიულ და პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე.

იხილავს რა ტრანსფორმაციის ეტაპს, ავტორი იძლევა მისი ტერმინოლოგიის ძალქედ საინტერესო განმარტებებს (გვ. 75-82), საბაზო ეკონომიკაზე გადასცლის ორი გზის ანალიზს (გვ. 82-101), დამაჯერებლად ასაბუთებს თუ რატომ იყო გამოყენებული საქართველოში „შოკური თერაპიის მეთოდი“, სოციალისტური (კომუნისტური) ეკონომიკის ტიპის განხილვისას შემოაქვს ტერმინი „ნეკროეპონმიკა“, რითაც ხაზს უსვამს არამოთხოვნადი საქონლის არსებობას სოციალისტურ ეკონომიკური (გვ. 119-138).

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის ანალიზს. სახელმწიფოს ფუნქცია წარმოდგენილია, როგორც წარმოების სპეციური ფაქტორი (გვ. 144-152).

სავსებით ლოგიკურია ავტორის მიერ ეკონომიკის ინსტიტუციური ასპექტის განხილვა. აქ ის იძლევა ფორმალური, ბუნებრივი ფორმალური, არაფორმალური და სხვა ინსტიტუტების თანაგარდობას. სწორედ რომ ადეკვატური ინსტიტუტების არ არსებობა მნიშვნელოვნად განაპირობებს გარდამავალი პერიოდის სირთულეებს.

ეკონომიკაში გარდამავალი ეტაპის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პრივატიზაციის შედეგიანობაზე. აქ ავტორი იძლევა საქართველოში და პოსტ-საბჭოურ სივრცეში პრივატიზაციის პროცესის სიღრმისეულ რეტროსპექტივას, პრივატიზაციის ტიპებისა და ფორმების ანალიზს (გვ. 180-198).

კორუფციის საკითხი, როგორც ცნობილია, დგას ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ პრობლემა მდგომარეობს მის სიდიდეში. პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში ეს საკითხი ძალზედ აქტუალურია. აქ ავტორი ამახვლებს ყურადღებას მის შეზღუდვაზე (აბსოლუტურად მისი აღმოფვერა შეუძლებელია) ძირითადად ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენების საფუძველზე (გვ. 202-223).

„შოკური თერაპიის“ გატარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. აქ ავტორი ცალსახად თავისუფალი ვაჭრობის (ფრიტრედერიზმი) მომხრევა. რეალობაში ასეთი მიღებობის აუცილებლობას განაპირობებს ისიც, რომ საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია. აქვე ავტორი იძლევა თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფენომენის დახასიათებას და მისი საქართველოში ფუნქციონირების პრობლემის კრიტიკულ ანალიზს (გვ. 224-255).

წიგნის დასკვნით თავებში (10, 11, 12) განხილულია მონეტარისტული სტიმულირების (ავტორი სამართლიანად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების მომხრევა პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში), ფინანსურული კრიზისის და ეკონომიკის ზომბირების საკითხები (ეკონომიკის ზომბირების ქვეშ იგი გულისხმობს არამომგებიანი, არაეფექტური, გაკოტრებული საწარმოების მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან), საერთაშისო სავალუტო ფონდის როლი და

მნიშვნელობა ზოგადად, და საქართველოში, კერძოდ. ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევაში აკრიტიკებს საქრთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობას საქართველოში, სამართლიანად თვლის, რომ ის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია (გვ. 288-378).

ახლა შევვდებით ვუპისუხოთ ჩვენს მიერ რეცენზიის დასაწყისში დასმულ კითხვას - თუ რაში მდგომარეობს პროფესორ ვლადიმერ პაპავას წარმოდგენილი წიგნის „არატრადიციული ეკონომიკის“ - არატრადიციონულობა? ეს, ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ მასში მნიშვნელოვანი აქცენტები გაკეთებულია სოციალურ ასპექტებზე (მაგალითად, თავები 1, 3, 4, 7, 8), და ამიტომაც ის ახლოს არის რეალიებთან. თუ ტრადიციული ეკონომიკის შემთხვევაში საქმე გვაქვს ე.წ. ტექნიკურ-ეკონომიკურ ანალიზთან, ამ შემთხვევაში აქცენტი გადატანილია სოციალურ ასპექტზე, რაც აახლოებს მას ობიექტურ რეალობასთან.

ნაშრომის მიმართ, გვაქვს ერთი შენიშვნა. კერძოდ, წიგნის შესავალში (გვ. 11-12), როდესაც ავტორი განიხილავს ეკონომიკის, ეკონომიკური სისტემის დონეებს (მეცნიერებების, მაკროეკონომიკა მიკროეკონომიკა) არ არის გამოყოფილი ეკონომიკის რეგიონული დონე, არადა სოციალური საკითხების გადაწყვეტა (სოციალური პოლიტიკა) რეალურად სწორედ ამ დონეზე ხორციელდება.

აუცილებლად აღსანიშნავია, ავტორის მიერ კვლევის სამეცნიერო აპარატის სრულყოფილი გამოყენება (ისტორიულ-ლოგიკური და შედარებითი ანალიზი, ტერმინოლოგიის საკითხები, ლიტერატურის ვრცელი მიმოხილვა თავმის მიხედვით და სხვ.).

და ბოლოს აღვნიშნავთ, რომ პროფესორ ვლადიმერ პაპავაშ წარმოდგენილი წიგნით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში ზოგადად, და მისი დარგის - ტრანზიტოლოგიის განვითარების საქმეში, კერძოდ.

**თეიმურაზ ბერიძე**  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, შავი ზღვის  
საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

## ხსოვნა



2011 წლის 4 აგვისტოს გარდაიცვალა ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ინსტიტუტის ყოფილი სწავლული მდივანი, სახელმწიფო მოღვაწე ნოდარ სერგოს ძე ულუმბერაშვილი.

ნოდარ ულუმბერაშვილი დაიბადა 1958 წლის 20 დეკემბერს, ლაგოდეხის რაიონ სოფელ ბოლოკიანში.

1976 წელს დაამთავრა ყარსუბანის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტზე მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობით, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1981 წელს. იმავე წელს სახელმწიფო განაწილებით მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა ჯერ ლაბორანტის, შემდეგ კი უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის, მეცნიერთანამშრომლის, ხოლო 1988 წლიდან 1992 წლამდე საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, უფროსი მეცნიერთანამშრომლის და სწავლული მდივნის თანამდებობებზე.

1993 წელს მუშაონდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს აპარატში, წამყვანი სახელმწიფო მრჩევლის თანამდებობაზე. 1994-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში, ჯერ მინისტრის მოადგილედ, შემდეგ კი მინისტრის პირველ მოადგილედ. 1998-1999 წლებში – საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მინისტრის პირველ მოადგილედ. 2000-2002 წლებში – შემოსავლების სამინისტროში მინისტრის მოადგილედ. 2003 წელს – ხელაპიტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში კონსულტანტად. 2004 წელს – ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციულ ინსპექციაში განყოფილების გამგედ. 2005 წელს – შპს საქართველოს საფაქტო ნაგიგაციაში მრჩევლად. 2006-2007 წლებში – საქართველოს რკინიგზაში, ჯერ ფინანსური დირექტორის, შემდეგ კი რკინიგზის მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარის მრჩევლად. 2008-2010 წლებში – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში, კომისიის მრჩევლად.

იგი იყო 37 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა ჩვენს ინსტიტუტში, სადაც იგი ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერი და მეცნიერების კარგი ორგანიზატორი და სადაც კოლექტივის სიყვარული დაიმსახურა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი, როგორც შესანიშნავი პიროვნების, მეცნიერისა და მოქალაქის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი თანამშრომლების გულებში.

ინსტიტუტის კოლექტივი

## 06 ვარგაცია

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუბუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული ღონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი აგლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორების შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის დირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: [economics\\_institute@yahoo.com](mailto:economics_institute@yahoo.com), [nabilashvili@rambler.ru](mailto:nabilashvili@rambler.ru)

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ცოდნებისათვის დაბვიპავშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

### ააატა გუბუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამოცემლები

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე  
**შედავათიან ფასებში**

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

**გამოიცემა:**

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)

- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი უცრნალები

**მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14  
293 22 60; 551 10 07 04.**

**ელ-ფოსტა: economics\_institute@yahoo.com**

#### **შურნალ „ეკონომისტი“ სტატიების ყარაოდგენის ფასები**

1. შურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერგალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).
4. შურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღიდან ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ აასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის დირექტულება 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics\_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და შურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ცენვებისათვის დაბვიპაზშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.

#### **GEL**

<b>მიმღები</b>	მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42
<b>მიმღების ბანკი</b>	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“ ბანკის BIC კოდი: REPLGE22

---

## THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE JOURNAL “ECONOMISTI”

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be send to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font -AcadNusx, English text font-Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the autor for revision the date of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: **economics\_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru**

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 293 34 44

### USD

<b>BENEFICIARY</b>	Beneficiary's name: TBILISI STATE UNIVERSITY
	Beneficiary's IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42
<b>BENEFICIARY BANK</b>	BANK “REPUBLIC” Tbilisi, Georgia
	Correspondent Acc. 00195464 SWIFT: REPL GE 22
<b>INTERMEDIARY BANK</b>	SOCIETE GENERALE, N.Y., USA
	SWIFT: SOGE US 33

ქართული “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.  
E-mail: economics\_institute@yahoo.com

Journal “Economisti”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103  
E-mail: economics\_institute@yahoo.com

თუმცა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა  
გამომცემლობის რედაქტორი **სესილი ხანჯალაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor of Publishing House **Sesili Khandjaladze**